ახალი განათლება

2010 წელი, 4 - 10 მარტი

ფასი 90 თეთრი

№7 (481) გამოდის 1998 წლიდან

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის“ საკონკურსო განცხადება

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ლოგოს შექმნაზე

ს.ს.ი.პ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა: ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავება, ეროვნული შეფასების განხორციელება, სახელმძღვანელოების ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის დადგენა, სახელმძღვანელოებისთვის გრიფის მინიჭება და სხვ. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გაითვალისწინონ აღნიშნული თემატიკა.

კონკურსში გამარჯვებული ლოგოს ავტორისთვის დაწესებულია ანაზღაურება 400 ლარი (ხელზე ასაღები თანხა).

ლოგოს ესკიზების წარმოდგენის ვადაა 2010 წლის 12 მარტი.

კონკურსში მონაწილეობის პირობები:

1. ლოგოს ესკიზები წარმოდგენილი უნდა იქნეს PDF ან JPG ფორმატში (კომპიუტერულ პროგრამაში შესრულებული), შესაძლებელია რამდენიმე ვარიანტის წარმოდგენა. წარმოდგენილ მასალებს თან უნდა ახლდეს ავტორის პირადი რეკვიზიტები: საკონტაქტო მონაცემები (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი).

2. დამატებითი დეტალების განხილვა მოხდება უშუალოდ გამარჯვებული ესკიზის ავტორ(ებ)თან, ესკიზებს განიხილავს ცენტრის საკონკურსო კომისია, რის შედეგადაც გამარჯვებულ ავტორთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

3. გამარჯვებულ ლოგოზე საავტორო უფლებები ხდება ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის საკუთრება.

4. საკონკურსო ნამუშევრები უნდა გამოგვიგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: kchkhobadze@ganatleba.org

5. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ცენტრში ტელ. (+995 32) 95 79 88. კონკურსის შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსდება „ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის“ ვებგვერდზე: www.ganatleba.org

აბიტურიენტებო, თვალი ადევნეთ ჩვენს რუბრიკას და გააკეთეთ სწორი არჩევანი!

„აირჩიეთ, სად ისწავლით“

- თბილისის საბანკო-საფინანსო და მენეჯმენტის სასწავლო უნივერსიტეტი
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
- პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია
- საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტი

C M Y K

აირჩიეთ, სად ისწავლით

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

სასწავლებლად გიწვევთ სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი – თბილისის საბანკო-საფინანსო და მენეჯმენტის სასწავლო უნივერსიტეტი. (034)

ჩვენი პრიორიტეტებია: სწავლება და დასაქმება ერთად. სტაჟირება მესამე კურსიდან; სტიპენდიები წარჩინებულთათვის; მცირე ბიზნეს-სესხები კურსდამთავრებულთათვის; სწავლის საფასურის გადასახდელად ბანკის კრედიტის მიღება.

აბიტურიენტს, რომელიც პირველ ნომრად აირჩევს ჩვენს სასწავლებელს, სწავლის საფასური შეუმცირდება 12%-ით, ანუ 300 ლარით და გადაიხდის 2200 ლარს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახის წევრებს სწავლის საფასური შეუმცირდებათ 20%-ით, ანუ 500 ლარით.

თბილისის საბანკო-საფინანსო და მენეჯმენტის სასწავლო უნივერსიტეტი სწავლას შემდეგ ფაკულტეტებზე გთავაზობთ:

ბიზნესისა და მართვის (03401)
მისაღები კონტინგენტი – 105
სპეციალობები: საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე; მენეჯმენტი და ადმინისტრირება.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (03402)
მისაღები კონტინგენტი – 20
სპეციალობა: ინგლისური ენა და ლიტერატურა.

სამართლის (03403)
მისაღები კონტინგენტი – 35
სპეციალობა: სამართალმცოდნეობა.

ღია კარის დღე 12 მარტს, 14 საათზე

მისამართი: თბილისი, აგლაძის 37, III სართული (დიდუბე – სავაჭრო ცენტრ „მეგალაინთან“)
ტელეფონი: 96-36-41. www.bankfininst.edu.ge

ქავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2010-2011 სასწავლო წელს ქავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სწავლას შემდეგ ფაკულტეტებზე გთავაზობთ:

ბიზნესის (115-01) - მისაღები კონტინგენტი - 180;
სპეციალობები: ბიზნესის ადმინისტრირება, ფინანსები და საბანკო საქმე, აღრიცხვა და აუდიტი, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტურიზმის მენეჯმენტი, ჯანდაცვის მენეჯმენტი.

იურიდიული (115-02) - მისაღები კონტინგენტი - 80; სპეციალობა - სამართალმცოდნეობა.

მედიცინის (115-04) - მისაღები კონტინგენტი - 100; სპეციალობები: სამკურნალო საქმე, სტომატოლოგია, ფარმაცია.

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (115-03) - მისაღები კონტინგენტი -100; სპეციალობები: საერთაშორისო ურთიერთობები, ჟურნალისტიკა, რელიგიათმცოდნეობა; კავკასიოლოგია.

ღია კარის დღე - 13 მარტი, 13 საათი

მისამართი: თბილისი, ჩარგლის ქ. № 73, მე-5 სართული,
ტელ: (995 32) 105203; (995 32) 308641.

ელ.ფოსტა: ciu@ciu.edu.ge
www.ciu.edu.ge

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია

დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლება ერთ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში

მედიცინის ფაკულტეტი, სპეციალობები:

სამკურნალო საქმე – 360 კრედიტი;
სტომატოლოგია – 300 კრედიტი.

■ სამედიცინო აკადემიის და სხვა უმაღლესი სასწავლებლების მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს საშუალება ეძლევათ სწავლა გააგრძელონ აკადემიის დოქტორანტურაში და აკრედიტებულ სარეზიდენტო პროგრამებზე თერაპიულ სტომატოლოგიაში, მეანობა-გინეკოლოგიაში, კარდიოლოგიაში, სამედიცინო რეაბილიტაციასა და სპორტის მედიცინაში, დერმატოვენეროლოგიაში.

■ პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია სამედიცინო განათლების საერთაშორისო დირექტორიის (IMED-FAIMER) წევრია.

საკუთარი და აფილირებული კლინიკური ბაზები, მდიდარი ბიბლიოთეკა, სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ.

სწორი არჩევანი წარმატების საწინდარია

მისამართი:
ქეთევან წამებულის 51/2, ი.ჭავჭავაძის გამზ. 29,
ტელ.: 91-24-84, 47-74-35, www.tma.edu.ge

მასწავლებელთა სერტიფიცირება

მასწავლებელთა ნებაყოფლობითი სერტიფიცირების ფარგლებში, 27-28 თებერვალს, პირველად საქართველოში, საცდელი ტესტირება ქ. ქუთაისში, ერთდროულად 4 ცენტრში, ჩატარდა და მასში მონაწილეობისათვის 1500 პედაგოგი დარეგისტრირდა.

სასერტიფიკატო გამოცდების გენერალური რეპეტიციისათვის ტესტები გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადდა. გამოიცადა არა მხოლოდ ტექსტური დავალებები, არამედ საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების მექანიზმი და საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა.

საცდელი გამოცდა გაიარეს პედაგოგებმა იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აჭარის რეგიონებიდან. ტესტირება ჩატარდა ინგლისურ ენაში, მათემატიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში და პროფესიულ უნარებში.

27 თებერვალს ტესტირება დილის 11 საათზე დაიწყო ქუთაისის მე-3 საჯარო სკოლაში და მის მიმდინარეობას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ირინე ქურდაძე**, ქუთაისის მერი **გიორგი თევდორაძე** და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი **მაია მიმინოშვილი** აკვირდებოდნენ.

პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და მას სახელმწიფო აფინანსებს. პირველ ეტაპზე, გამოცდებს ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენებისა და მათემატიკის პედაგოგები ჩააბარებენ. ამ საგნების პედაგოგების დიდმა ნაწილმა უკვე გაიარა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული გადამზადების კურსები.

პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები პირველად 2010 წლის ზაფხულში ჩატარდება. ტესტების მომზადებასა და გამოცდების ჩატარებას გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს. ცენტრის ექსპერტებმა ორი წლის წინ დაიწყეს სასერტიფიკაციო გამოცდების ფორმატსა და შინაარსზე მუშაობა.

გამოკითხვა

თბილისის №61 საჯარო სკოლა

ნაზი ვაჩეიშვილი, გერმანული ენის პედაგოგი:

სერტიფიცირება აუცილებელია, მაგრამ საჭიროა მოსამზადებელი პერიოდი. მასწავლებელს უნდა მიეცეს საშუალება, რომ გაიაროს საგამოცდო ტესტირების ანალოგიური მასალა. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება, თუ სერტიფიცირება განხორციელდება ეტაპობრივად. ეს ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მასწავლებელს მომზადებაში და გამოცდის ხარისხიანად ჩაბარებაში. რაც შეეხება ლიტერატურას: გარკვეული დროის განმავლობაში პედაგოგებს უნდა მოგვაწოდონ ლიტერატურა, ტესტები (დაახლოებით ხუთასამდე ტესტი), რაზეც ვივარჯიშებთ და მოვემზადებით გამოცდებისათვის. თუმცა, ჩემი აზრით, მასწავლებლის კვალიფიკაცია და დონე მხოლოდ ტესტირების მიხედვით არ შეიძლება განისაზღვროს. კიდევ რაღაც სხვა კრიტერიუმია შესამუშავებელი იმისათვის, რომ დავადგინოთ, შეესაბამება თუ არა ის თანამედროვე მოთხოვნებს. რაც შეეხება ტრენინგებს, ჩვენ ადრეც გავდიოდით, მაგრამ ეს სერტიფიცირებასთან არ იყო დაკავშირებული. ახლა შემოთავაზებულია რამდენიმე ტრენინგი, რომლებშიც ჩვენი მასწავლებლები ჩართულები არიან, ვარჯიშობენ, ცდილობენ, გამოცდებისათვის ღირსეულად მოემზადონ.

იმედი მაქვს, რომ სერტიფიცირება მაღალ დონეზე ჩატარდება. თანამედროვე პედაგოგი უნდა იყოს არა მხოლოდ თავისი საგნის სპეციალისტი, არამედ უნდა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებსაც: ესმოდეს ახალგაზრდების, იყოს კომუნიკაბელური, თბილი, ზოგჯერ კი მკაცრიც. მე პირადად მოსწავლეებთან მკაცრი ვარ, რაც გამოიხატება იმაში, რომ ვითხოვ მათგან დავალების შესრულებას, მოსმენას, გაკვეთილში ჩართვას. ვალდებული ვარ, ამგვარად მოვიქცე. თუმცა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის მთავარი მაინც ურთიერთგაგებაა, მხოლოდ სიმკაცრით ან ლოიალობით შედეგს ვერ მივაღწევთ.

აუცილებელია მასწავლებლის შრომის დაფასება და მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. მით უმეტეს, რომ პედაგოგის შრომა დღეს განსაკუთრებით რთული და დაძაბულია. ამიტომ მასწავლებელს, რომელიც თავის საქმეს ხარისხიანად და პატიოსნად აკეთებს, ანაზღაურებაც შესაბამისი უნდა ჰქონდეს. მაღალი ხელფასი მისთვის სტიმულიც იქნება. თუმცა ყველაფერი ამაზე ნამდვილად არ არის დამოკიდებული. მე როგორი ხელფასიც უნდა მქონდეს-თუნდაც ათასი დოლარი გადამიხადონ, რასაც ახლა ვაკეთებ მთელი სულითა და გულით, იმავეს გავაკეთებ მერეც.

რაც შეეხება სერტიფიცირებას, პირადად მე გამოცდაზე, ალბათ, არ გავალ. თუ სერტიფიცირება 2014 წლამდე გაგრძელდება, ამ დროისთვის ალბათ დავისვენებ, თუმცა მონაწილეობა მაქვს მიღებული საპილოტე ტესტირებაში, გავლილი მაქვს ატესტაციაც, თანაც საკმაოდ წარმატებულად.

ელისაბედ ჯერენაშვილი, მათემატიკის პედაგოგი:

რა აზრის ვარ სერტიფიცირებაზე? მასწავლებელს, რომელიც წლების მანძილზე სკოლაში მუშაობს, საკმარისი ცოდნა და გამოცდილება აქვს დაგროვილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, კვალიფიკაციის ამაღლების, გამოცდებზე გასვლის წინააღმდეგი, რა თქმა უნდა, არ ვარ. სიამოვნებით გავივლი გამოცდებს, თუ საკმარისი ლიტერატურა მექნება. სამწუხაროდ, ჩვენ არანაირი ლიტერატურა არ გვაქვს. გუშინ მოვისმინეთ ინტერვიუ მინისტრთან. ერთმა პედაგოგმა მას ჰკითხა – „მოგვცემთ თუ არა ტესტებს ლიტერატურაში?“ რაზეც მან მკაცრი უარი განაცხადა. რატომ? ეშინიათ რომ გამოცდებს ჩავაბარებთ? ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა. მე ვნახე პროფკავშირების გამოშვებული წიგნი, სადაც შეტანილია ინტეგრალები, რომლებსაც სკოლაში არ ვასწავლით და თუ ეს მასალაც უნდა ჩავაბაროთ, მე არ ვიცი ხელახლა უნივერსიტეტს გვამთავრებინებენ, თუ რა ხდება. გაუგებარია, როგორ უნდა გავიდეთ გამოცდაზე მოუმზადებლები? ნებით თუ უნებლიეთ შეიძლება ისეთი შეცდომები დავუშვა, რაც სიცოცხლის ფასად დამიჯდება. ამიტომ ლოგიკურია, ჯერ მოგვცენ ლიტერატურა და მერე მოგვთხოვონ გამოცდის ჩაბარება. რაც შეეხება ტრენინგებს, პირადად მე ტრენინგებზე არ ვყოფილვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ სამი ტრენინგი ნამდვილად არაა საკმარისი იმისათვის, რომ გამოცდებისათვის საფუძვლიანად მოვემზადოთ. ადრე, კომუნისტების დროს, ტარდებოდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ჩვენ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ სიახლეებს ვეცნობოდით, გამოცდებს ვაბარებდით და გვაძლევდნენ მოწმობებს. გამოცდები ჩავაბარეთ რამდენიმე წლის წინათაც, მაგრამ მერე ის სერტიფიკატები გაგვიუქმეს. რა გარანტია გვაქვს, რომ ახლაც იგივე არ განმეორდება?!

სიმართლე რომ გითხრათ, არც ხელფასის გაზრდის მჯერა. რამდენიმე წლის წინ გამოცდები რომ გავიარეთ მხოლოდ ოცი ლარი მოგვიმატეს. ოცი ლარის მომატება კი ამ ხელა ნერვიულობის ფასად ნამდვილად არ ღირს. მით უმეტეს, რომ მაშინ გვქონდა ლიტერატურა, მთელი 1200 ამოცანა იყო მოცემული, რაც სიამოვნებით გავაკეთე. გამოცდიდან კი ყველაზე პირველი გამოვედი. ხმამაღლა შემიძლია განვაცხადო: მე მიყვარს ჩემი საგანი, სიამოვნებით გავაკეთებ ყველაფერს რასაც მომცემენ. მაგრამ თუ ლიტერატურა არ გვექნება, ცარიელი ხელებით, მოუმზადებელი გამოცდაზე ნამდვილად ვერ გავალ.

თბილისის №89 საჯარო სკოლა

რუსუდან ბოჭორიშვილი, მათემატიკის პედაგოგი:

მიმაჩნია, რომ სერტიფიცირება აუცილებელია. მასწავლებელმა თავისი დონე მუდმივად უნდა აიმაღლოს, მაგრამ სასწავლო პროცესის მსვლელობის პარალელურად გამოცდებისათვის მზადება რთულია, რადგან მოსამზადებლად დრო არ არის საკმარისი. ეს ალბათ გასათვალისწინებელია. როგორც ჩემთვის ცნობილია, საზღვარგარეთ მასწავლებელს ეძლევა პერიოდი იმისათვის, რომ იმუშაოს თავის თავზე და აიმაღლოს კვალიფიკაცია. რაც შეეხება პროგრამებს, მე ვნახე პროგრამები, რომლებიც შედგენილია ძირითადად უნივერსიტეტდამთავრებულებისთვის, ამასთან იქ არის შეტანილი ისეთი თემები, რომლებსაც სკოლაში არ ვასწავლით. არადა, ხომ არიან ისეთი მასწავლებლებიც, რომლებმაც დაამთავრეს არა უნივერსიტეტი, არამედ სხვა პედაგოგიური სასწავლებლები, მაგრამ კარგ პედაგოგებად ითვლებიან. ამიტომ, ჩემი აზრით, პროგრამა ყველაზე უნდა იყოს გათვლილი. სასურველია, მეტი აქცენტი გაკეთდეს სასკოლო პროგრამებზე, გადაცემის ფორმატზე, ვიდრე, ვთქვათ, სამეცნიერო დონეებზე, სკოლის მასწავლებელს ხომ იგივე არ მოეთხოვება, რაც უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგს?! რაც შეეხება ლიტერატურას, ვიცი რომ გამოიცა რაღაც წიგნები, ჩვენ ვიყავით ტრენინგებზეც და ამ ტრენინგებით კმაყოფილები დავრჩით, პრობლემა არის მხოლოდ დროის დეფიციტი. როგორც ჩემთვის ცნობილია, არის პრაქტიკაში ისეთი შემთხვევები, როცა მასწავლებლებს ერთი-ორი თვე ფასიანი შვებულება ეძლევათ, რათა გამოცდებისათვის მოემზადონ. საბოლოო ჯამში, რასაკვირველია, ველოდებით ხელფასის გაზრდას, თუმცა მე გავლილი მაქვს წინა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი და მომატებული ხელფასი მხოლოდ ერთი წლის მანძილზე გვეძლეოდა, მერე კი, ისევ გაგვათანაბრეს. ასე რომ, კვალიფიკაციის ამაღლება ყველას უნდა, მაგრამ ხელფასების მომატების იმედი ნაკლებად გვაქვს.

ლალი გავაშელი, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი:

სერტიფიცირების მიმართ განწყობილი ვარ დადებითად, მიმაჩნია, რომ აუცილებელია მასწავლებლების გადამზადება. ქართულის შვიდივე პედაგოგი ჩართული ვართ ამ პროცესში და ვმუშაობთ, შევიძინეთ სავალდებულო ლიტერატურა, გავეცანით პროგრამას, ვეცნობით სხვა სიახლეებსაც, დავესწრით ტრენინგებს და უნდა აღვნიშნო, რომ ისინი ამომწურავი ნამდვილად არ იყო, თუმცა თანხის გადახდის შემთხვევაში შეგვიძლია დამატებით გავიაროთ ტრენინგები. ჩემი აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა დროის ნაკლებობაა. მოსამზადებელი მასალა დიდია, დრო კი ნაკლები... უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ავიღეთ ცნობები ნარკომანობასთან დაკავშირებით, რაშიც გარკვეული თანხა გადავიხადეთ, მერე კი გაირკვა, რომ ისინი აღარ დაგვჭირდება... დაბოლოს, რაც შეეხება მატერიალურ მხარეს, თუ წარმატებულად გავივლით გამოცდებს, ეს აუცილებლად უნდა აისახოს ხელფასებზე, ვფიქრობ, გამოცდების ჩაბარების შემდეგ ხელფასი უნდა გაორმაგდეს მაინც.

მელანია ანთაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი დაწყებით კლასებში:

სერტიფიცირებას ვუყურებ ძალიან დადებითად, რადგან ეს ხელს შეუწყობს ჩვენი კვალიფიკაციის ამაღლებას. ველოდები, დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის როდის იქნება სერტიფიცირება და მაინტერესებს ყველაფერი ტესტებთან დაკავშირებით. დღესდღეობით ჩვენ, დაწყებითი კლასების პედაგოგები, არ ვართ ჩართულები ამ პროცესში, მაგრამ აუცილებლად გავალ გამოცდებზე. იმედი მაქვს, რომ გამოცდების ჩაბარების შემდეგ ავიმაღლებ კვალიფიკაციას და შესაბამისად გამეზრდება ხელფასიც.

ირინა კორძახია, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი:

ჩვენი დირექტორის დახმარებითა და ძალისხმევით მთელი სკოლა ჩართული ვართ სერტიფიცირების პროცესში და ცხადია, ვაპირებთ გამოცდებზე გასვლას. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ლიტერატურა საკმარისია, თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ზღვა მასალაა, დრო კი – ცოტა. ჩვენ ალბათ ძალიან ბევრი მუშაობა მოგვიწევს იმისათვის, რომ გამოცდებისათვის ღირსეულად მოვემზადოთ. მეტ დროს რომ მოგვცემდნენ, ძალიან კარგი იქნებოდა. რაც შეეხება ანაზღაურებას, ხელფასის მომატება სტიმული იქნება ყველასთვის.

მზევინარ ფილფანი, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი:

სერტიფიცირება რომ საჭიროა, ყველამ კარგად ვიცით. ქართულში გავიარეთ რამდენიმეკვირიანი ტრენინგები, მაგრამ ეს ნამდვილად არ იყო ისეთი სრულფასოვანი, როგორიც უნდა ყოფილიყო – ლექციები იყო ზოგადი და არა კონკრეტული. რაც ტრენინგებზე მოვისმინეთ, წიგნშიც წავიკითხავთ, უკეთესი იქნებოდა, რომ პრაქტიკული ხასიათის ყოფილიყო. ჩვენ პრაქტიკოსი მასწავლებლები ვართ და ტრენინგებზე ურთიერთობა გვქონდა ადამიანებთან, რომლებსაც სკოლასთან შეხება არა აქვთ და მხოლოდ წიგნიერი ცოდნა გააჩნიათ. რაც შეეხება ლიტერატურას – წიგნებს გვაწვდიან, ჩვენ ვიმეცადინებთ და ვნახოთ, რა იქნება. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დრო არ არის საკმარისი მოსამზადებლად. სერტიფიცირების საბოლოო მიზანი ალბათ ის არის, რომ გაიზარდოს მასწავლებლის კვალიფიკაცია და ხელფასი.

გამოხმაურება

„ახალი განათლების“ რედაქციას

მასწავლებელთა სასერტთიფიკაციო გამოცდებთან დაკავშირებით, მინდოდა გამომეგზავნა ქუთაისის რამოდენიმე სკოლის პედაგოგთა მოსაზრება, მაგრამ რატომღაც არ ისურვეს აზრის გამოთქმა, რადგან ძირითად ნაწილს გადაწყვეტილიც არ აქვს გამოცდებზე გასვლა.

ქუთაისის ჰუმანიტარული ლიცეუმის რეორგანიზაციის გამო, 2006 წლიდან, არ ვმუშაობ სკოლაში. მიუხედავად იმისა, რომ ვთანამშრომლობ თქვენს გაზეთთან, ასევე, საგანმანათლებლო ცენტრ „ლიბოსთან“, განვიცდი გარკვეულ პროფესიულ უკმარისობას საგაკვეთილო პროცესსა და მოსწავლეებთან დაშორების გამო. მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები, რომლის მიმართაც ძალიან უარყოფითად არიან განწყობილი პედაგოგები, ჩემთვის ერთადერთი გზაა სკოლაში დაბრუნების და ჩემი საყვარელი საქმიანობის გაგრძელებისა, ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ვერ მივიღე სახელმწიფო დაფინანსება ვაუჩერის სახით, მთელი ძალისხმევით ვმეცადინეობ როგორც ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისე, პროფესიულ უნარებში.

ნამდვილად ვერ დავეთანხმები იმ პედაგოგების აზრს, რომლებიც, კატეგორიულად მოითხოვენ საგამოცდო საკითხების დაკონკრეტებას და გამოცდის გადავადებას. დღემდე გამოქვეყნებულ ინფორმაციებში (ვგულისხმობ შესაბამის ვებგვერდს და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ ლიტერატურას) ვერაფერს ვხედავ ისეთს, რაც პედაგოგს არ მოეთხოვება.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ჩემთვის იმ პედაგოგთა მოსაზრება (გაზეთის ბოლო ნომერში გამოქვეყნებული), რომლებიც საკუთარ თავს გამოცდებზე წარუმატებლობას უწინასწარმეტყველებენ.

მეცადინეობისას განსაკუთრებულ სტიმულს მაძლევს ის გარემოება, რომ ჩემი პედაგოგიური მუშაობის 30 წლის სტაჟიდან გამომდინარე, უფლება მექნება გავხდე მენტორი მასწავლებელი და მივიღო ხელფასზე დანამატი.

ვიმედოვნებ, რომ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები ორგანიზებულად და სამართლიანად ჩატარდება და სკოლას დაუბრუნდებიან პროფესიონალი პედაგოგები.

მარინე უკლება

პედაგოგი ქუთაისიდან, ი.გოგებაშვილის მედლისა და ღირსების ორდენის მფლობელი

აირჩიეთ, სად ისწავლით

საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტი (სესსუ)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის № 34 ბრძანების საფუძველზე 2009 წლის 23 დეკემბრიდან „საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტი“.

უნივერსიტეტში დღეისათვის მოქმედებს ორი საგანმანათლებლო პროგრამა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე. უახლოეს მომავალში დაგეგმილია მესამე საფეხურის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.

2010-2011 სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას შემდეგ ფაკულტეტებსა და საგანმანათლებლო პროგრამებზე:

საბაკალავრო პროგრამები

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე
მენეჯმენტი და ადმინისტრირება

იურიდიული ფაკულტეტი
სამართალმცოდნეობა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ინგლისური ენა და ლიტერატურა

სამაგისტრო პროგრამები

იურიდიული ფაკულტეტი
სამართალმცოდნეობა – კერძო სამართლის მიმართულებით
სამართალმცოდნეობა – სისხლის სამართლის მიმართულებით

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ფინანსები და საბანკო საქმე
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
მარკეტინგი

საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტის **მისიაა** თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი და შრომის საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომელთაც ექნებათ სისტემური ცოდნა, აზროვნების დამოუკიდებლობა და შემოქმედებითი საქმიანობის უნარ-ჩვევები.

უნივერსიტეტის **ამოცანებში** შედის:

■ პროფესიონალი კადრების მომზადების საქმეში ავტორიტეტული უმაღლესი სასწავლებლის როლის დამკვიდრება;

■ სასწავლო პროცესის შინაარსის ინტელექტუალიზაცია, სწავლების ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვა, სტუდენტის პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა;

■ თანამედროვე მსოფლიო მიღწევებსა და პრაქტიკაზე დაფუძნებული, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროგრამების რეალიზაცია;

■ საერთაშორისო კავშირების გაფართოება, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან ერთობლივი სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო პროექტების რეალიზაციის მიზნით;

■ სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურებთან კავშირების განმტკიცება, სტუდენტთა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის სრულყოფისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით.

უნივერსიტეტის სისტემატური ზრუნვის საგანია სასწავლო პროცესის გაუმჯობესება და სტუდენტებისათვის საერთაშორისო დონის განათლების მიცემა. ამ მიზნით დიდი ყურადღება ეთმობა კვალიფიციური პედაგოგიური კადრების შერჩევას, კურიკულუმების დახვეწას, ლექციური კურსებისა და სახელმძღვანელოების შექმნას, პროფესორთა და სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის აქტივიზაციას, სწავლების უახლესი მეთოდების (საქმიანი თამაშები, კეისები, დისკუსიები, პრეზენტაციები და სხვ.) გამოყენებას. სასწავლო პროცესი და გამოცდები მიმდინარეობს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

სიახლე უნივერსიტეტში

• ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტი ძირითად სპეციალობასთან (საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე; მენეჯმენტი და ადმინისტრირება) ერთად ეუფლება მეორე დამატებით სპეციალობას – საბუღალტრო აღრიცხვა და საგადასახადო საქმე.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სტუდენტი ეუფლება მეორე დამატებით სპეციალობას მთარგმნელი რეფერენტი.

იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის პროცესში სტუდენტს შეუძლია თავისი ცოდნის კონცენტრირება (გაღრმავება) კერძო სამართალში, სისხლის სამართალში ან საჯარო სამართალში.

მაგისტრანტებისათვის შემუშავებულია მოქნილი სასწავლო გრაფიკი, რომელიც იძლევა თეორიული სწავლისა და შრომითი საქმიანობის შეთავსების შესაძლებლობას.

• ქართული ეკონომიკური და იურიდიული მეცნიერების დარგებში საგანმანათლებლო საქმიანობის სრულყოფის, მაღალკვალიფიციური ბაკალავრებისა და მაგისტრანტების მომზადების, ერთობლივი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მეცნიერულ დონეზე განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები:

■ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტთან;

■ თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტთან; აგრეთვე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:

■ საბერძნეთის პირეუსის უნივერსიტეტთან;

■ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან;

■ საქართველოს ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრთან (აშშ საერთაშორისო ეკონომიკური განათლების საბჭოს პარტნიორი ორგანიზაცია საქართველოში).

აღნიშნული ხელშეკრულებებითა და მემორანდუმებით გათვალისწინებულია ერთობლივი თანამშრომლობა სამეცნიერო თემების კვლევის, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ორგანიზების და ჩატარების, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთა სწავლების ხარისხის ამაღლების, დისკუსიების გამართვის, პუბლიკაციების მომზადების, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

• სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას ყველა საგანში შუალედური და დასკვნითი გამოცდები ტარდება ტესტირებული ფორმით. გამოცდები მიმდინარეობს უახლესი ორიგინალური კომპიუტერული პროგრამული პაკეტის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს ცოდნის ობიექტური შეფასების მაღალ ხარისხს.

სესსუ-ს აქვს სასწავლო კორპუსი და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, რომელიც მდებარეობს ვაჟა-ფშაველას გამზ.№42-44 (მეტრო დელისთან). სასწავლო პროცესში სტუდენტთა მაქსიმალური ჩართვის მიზნით ჯგუფები იქმნება არაუმეტეს 25 სტუდენტისა.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს:

■ ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი ფონდით; ელექტრონული ბიბლიოთეკა; ინტერნეტით უზრუნველყოფილი სამკითხველო დარბაზი;

■ კომპიუტერული ცენტრი (70 ც. კომპიუტერი);

■ სააქტო და საპრეზენტაციო დარბაზი;

■ გამომცემლობა;

■ სპორტული კომპლექსი;

■ კვების ობიექტი, რომელიც სტუდენტებს შეღავათიან ფასებში ემსახურება;

■ სამედიცინო პუნქტი.

უნივერსიტეტში მიმდინარეობს უცხო ენების, ინფორმატიკისა და კომპიუტერული ბუღალტერიის გაძლიერებული სწავლება. წარჩინებული სტუდენტები იღებენ როგორც ჩვეულებრივ, ასევე სახელობით სტიპენდიებს.

უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა ატარებს სხვადასხვა შემეცნებით, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებს. გაშლილია კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა.

სწავლის საფასური

ეკონომიკისა და ბიზნესის საბაკალავრო პროგრამაზე – 3700 ლარი;
სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე – 3700 ლარი;
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამაზე – 3500 ლარი;
ეკონომიკისა და ბიზნესის სამაგისტრო პროგრამებზე – 2000 ლარი;
სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამებზე – 2000 ლარი.

სესსუ-ს მისამართი:

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 42-44

ტელ.: 39 18 03, 39 87 25

ვებგვერდი – www.sessu.edu.ge

ღია კარის დღე ჩატარდება ა. წ. 10 მარტს, 15:00 საათზე

საუბრები ლიტერატურაზე

დროის სიღრმიდან ჩვენამდე

რუბრიკას უძღვება
თამაზ ვასაძე

ქართულ ლიტერატურას, სადაც ყველაზე კონცენტრირებულად და თვალსაჩინოდ არის გამოხატული მისი შემქმნელი ხალხის მსოფლმხედველობა, დროის სიღრმიდან ჩვენს დრომდე მოყვება ამ მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ლაიტმოტივი – სამყაროსადმი ადამიანის აქტიური, შემოქმედებითი, განმაახლებელი დამოკიდებულება.

მისი პირველივე რელიეფური გაცხადება მით უფრო შთამბეჭდავია, რომ მომხდარია იქ, სადაც თითქოს ნაკლებად არის მოსალოდნელი – აგიოგრაფიულ ნაწარმოებში. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მთავარი გმირის რელიგიური აღმაფრენა მასშტაბურ და ინტენსიურ აღმშენებლობაშია განივთებული. გრიგოლს, შემოქმედებითი სულით დაჯილდოებულ და ახლისმაძიებელ ადამიანს, იზიდავს უცხო, ძელი და წინააღმდეგობის გამწევი გარემო, რომელსაც თავისი მძლავრი ნებისყოფით ათვინიერებს. ის შეუპოვარი თანმიმდევრულობით აქცევს უდაბურ არეს სულის საცხოვრისად, სულიერად იპყრობს უცნობ სივრცეს. უკაცრიელი, ველური ბუნების მოშინაურება, მატერიის ურჩობის, ადამიანთა ყოფის ქაოტურობის დაძლევა და ახალი, სრულფასოვანი რეალობის აღმშენებლობა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ წარმოდგება როგორც ღმერთის შემოქმედების გამგრძელებელი ადამიანის ღირსება. გრიგოლ ხანძთელი „უდაბნოთა ქალაქმყოფელია“ – სამყაროს სრულმქმნელი, მისთვის ორგანიზებული სახის მიმნიჭებელი, მოუწესრიგებელ სინამდვილეში ზნეობრივი და სოციალური წესრიგის დამამყარებელი.

ავთანდილი, რომელიც ქართული ლიტერატურის ცენტრალურ პერსონაჟად შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა აშკარად განსხვავდება მერჩულეს მიერ მონუმენტურად გამოქანდაკებული ასკეტისგან, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით მისი მემკვიდრეც არის: სამყაროსადმი აქტიური-შემოქმედებითი, გარდამქმნელი მიმართება მათ საზიარო აქვთ. ოღონდ ავთანდილის მოძრაობის და აქტივობის სივრცე უკვე უსაზღვროდ გაფართოებულია, მთელ ქვეყნიერებას იტევს. იგი განმსჭვალულია უცხოს და უცნობის შეცნობის ახლებური განწყობით. აქტიურობა და დინამიურობა ავთანდილის ბუნებრივი თვისებებია, მაგრამ მისი ქმედება შესატყვისი, მკაფიოდ გაცნობიერებული და ფორმულირებული მსოფლმხედველობრივი მრწამსითაც არის წარმართული. ეს არის აქტივიზმის ფილოსოფია (*„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“*). ავთანდილი ცვლის, სრულყოფს სამყაროს თავისი იდეალური წარმოდგენების შესაფერისად. მას სურს შექმნას ის, რაც ადრე არ არსებობდა, ანდა არსებობდა და დაირღვა – ყოვლისმომცველი ჰარმონია.

ლიტერატურის მკვლევარებს შემჩნეული აქვთ გარკვეული თანხვედრა „მერანს“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის, მსგავსება „მერანის“ გმირს და ავთანდილს შორის, რომელიც მოიცავს ცალკეულ სახეებს და მოტივებს. მაგრამ აქ შეინიშნება უფრო ღრმა და არსებითი ერთიანობაც, სამყაროსადმი აქტიური, გარდამქმნელი დამოკიდებულების ერთნაირი აღიარება ადამიანური ყოფიერების მთავარ პრინციპად. „მერანის“ გმირის მსხვერპლგამღები აქტივობა გამიზნულია უკეთესი სამყაროს დასაფუძნებლად, სადაც ადამიანის თავისუფლება ძლევს ბედისწერას, ამ აქტივობის მძლავრი სტიმულია სამყაროს სრულყოფის ვნება. ეს გმირი თითქოს გამოუვალ ვითარებაში აღმოჩენილი ავთანდილია, ხოლო მისი მსოფლმიმართება ტრაგიკული ასპექტით გამჟღავნებული ავთანდილის მსოფლმიმართებაა, რომელიც მოითხოვს სამყაროს სრულყოფის ცდას თუნდაც თავისშეწირვის ფასად.

ილია ჭავჭავაძისეული თერგის სახე „მერანთან“ გენეტიკურად ჩანს დაკავშირებული. ოღონდ ილია როგორც რეალისტი უკვე მთლიანად ცხოვრებას, ობიექტურ რეალობას გაიაზრებს ენერგიულ, შეუჩერებელ აქტივობად. თერგის ხატი ილიასთვის ადამიანური არსებობის ჭეშმარიტი წესის განმსაზღვრელი პარადიგმაა, რომელიც გულისხმობს სამყაროსადმი დაუდგრომლად ქმედით მიმართებას. ეს პარადიგმა განხორციელდა თვით ილიას მოღვაწეობაში – გახევებული ქართული სინამდვილის სასიკეთოდ გარდაქმნის, განახლების ნაყოფიერ და ამავე დროს ტრაგიკულ ცდაში.

სამყაროს სრულყოფისკენ მიმართული აქტივობა უმაღლეს ზნეობრივ და ესთეტიკურ ფასეულობად წარმოდგება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება ალუდა ქეთელაურის სახეს. დაკანონებულ და ამდენად შეუმჩნეველ ბოროტებაში ჩაფლული გარემოს ეთიკურ ჭეშმარიტებათა შესატყვისად გარდაქმნის, სრულქმნის მოთხოვნილებით აღძრული ალუდას აქტივობა ფატალურად შეეჯახება მასის სულიერ ინერტულობას. თუ ბარათაშვილის „მერანში“ სამყაროს გარდასახვისკენ სწრაფვის ჩამხშობი ბედისწერა აბსტრაქტულია, ვაჟას ეპიკურ პოეზიაში იგი კონკრეტდება როგორც მასის გადაულახავი შინაგანი უძრაობა...

აქტივიზმის როგორც სამყაროსთან დამოკიდებულების პრინციპის მოულოდნელ განსახიერებას ვპოვებთ ვაჟას მინიატურაში „მთანი მაღალნი“. თითქოს მიწას დაშორებული მთები უშფოთველ თვითჭვრეტაში უნდა იყვნენ ჩაძირული, მაგრამ მათი სტატიკურობა გამძაფრებულ სულიერ აქტივობას ფარავს. მთების დაუსრულებელი მოლოდინი ნიშნავს სულის დაძაბულ ლტოლვას სიახლისკენ, ჯერ შეუცნობის შეცნობისკენ – „უნახავის დანახვისკენ“.

სულიერი ხასიათისაა მძაფრი აქტივობა გალაკტიონის „ლურჯა ცხენებშიც“, მისი მასაზრდოებელი აგრეთვე „უნახავის დანახვის“ ჟინია. ლურჯა ცხენების სახე სიმბოლურად გამოხატავს შემოქმედებითი ცნობიერების დაუდგრომლობას, შემოქმედებითი ფანტაზიის განუწყვეტელ აქტივობას, რომელიც ყოფიერების ახალ-ახალ ფენებს წვდება და ეუფლება, სიკვდილის ფენომენსაც განჭვრეტს და გამუდმებით აფართოებს შეცნობილის საზღვრებს. საზრისგამოცლილი, საშინელი სამყაროს პირისპირ, სადაც სიკვდილი ბატონობს, პიროვნების არსებობის გამართლებაა პროდუქტიული შინაგანი აქტივობა, იმის მიუხედავად, რომ იგი სამყაროს პრაქტიკულად ვერ გარდაქმნის.

გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობაში“ სამყაროსადმი აქტიური დამოკიდებულება ხორცშესასხმელად კონკრეტულ-ემპირიულ სინამდვილეს უბრუნდება. „ალავერდობის“ გმირი ამკვიდრებს შემოქმედებითი შრომის უმაღლეს ფასეულობას, რომელიც სრულყოფს სამყაროს და ადამიანს სულიერი უძრაობისგან, სულიერი სიკვდილისგან იცავს. შემოქმედებითი შრომა საკრალური ფენომენია, რომელიც ადამიანის არსებობას აზრით და სიცოცხლის ძლიერი ნებით, სიცოცხლის სიხარულით მსჭვალავს და რომლის მეშვეობითაც ადამიანი სამყაროში ადამიანურ წესრიგს აფუძნებს; ნამდვილი, ღრმა რელიგიურობა ვლინდება ახლის ქმნადობაში, აღმშენებლობაში, სამყაროს სრულქმნის განუწყვეტელ ცდაში.

მეათე საუკუნის აგიოგრაფიულ ნაწარმოებს, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ და მეოცე საუკუნეში დაწერილ მოთხრობას აერთიანებს აღმშენებლობის, სამყაროს სრულმყოფელი აქტივობის მომხიბვლელობის ღრმა განცდა.

იმ ნიშნებს შორის, რომლებიც ქართულ კულტურას დასავლურთან აახლოებს, ერთ-ერთი ძირითადი სწორედ სამყაროსადმი აქტიურ-შემოქმედებითი მიმართების მაღალ ფასეულობად დასახვაა – დასავლეთი თავიდანვე იმას ესწრაფის, რომ *„არამხოლოდ ჭვრეტდეს ჭეშმარიტებას იდეალების სამეფოში, არამედ განახორციელოს კიდეც იგი, იდეის მეშვეობით აამაღლოს სინამდვილე აუცილებელ დონემდე. დასავლეთი დარწმუნებულია, რომ მან სამყაროს ფორმირება უნდა მოახდინოს“* (კ. იასპერსი).

საქართველოს ყოფიერების ტრაგიზმს ისტორიულად ისიც შეადგენდა, რომ ქართველი ხალხის მსოფლმხედველობის და ფასეულობათა სისტემის არსებითი საწყისი – სამყაროსადმი აქტიური, სრულმქმნელი მიმართება ვერ პოვებდა შესაძლებლობას, ადეკვატური სისავსით განხორციელებულიყო კულტურაში და სოციალურ ცხოვრებაში. დამახასიათებელია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ სამყაროსადმი აქტიურ-გარდამქმნელი დამოკიდებულების მხატვრულ განსახიერებათა მთავარ ტონალობად დრამატიზმი ან ტრაგიზმი იქცევა, რაც ამ პრინციპის სინამდვილეში რეალიზების დიდ სიძნელეს ირეკლავს. მაგრამ ნაციონალურ მსოფლგაგებაში შემონახული, მხატვრულ კულტურაში საუკუნეთა სიგრძეზე თანმიმდევრულად და მკვეთრად აღბეჭდილი მიმართება სამყაროსთან მაინც ცხოველმყოფელობას ავლენდა. ის, რომ ჩვენს მსოფლმხედველობაში სამყაროსადმი აქტიური და სრულმყოფელი დამოკიდებულება ადამიანისთვის ღირსების მიმნიჭებელ ფასეულობად არის აღიარებული, აქეზებდა შემოქმედებითი ბუნების ადამიანებს, აღვივებდა მათ შესაძლებლობებს...

იუბილე

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი 70 წლისაა

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზეიმოდ აღინიშნა მისი დაარსების 70 წლისთავი. საიუბილეო ღონისძიებებზე დასასწრებად უნივერსიტეტს მრავალი სტუმარი ეწვია ევროპის, უკრაინის, ამიერკავკასიის, საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან. საზეიმო გახსნაში მონაწილეობდნენ თელავის მაჟორიტარი დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი არსენიშვილი**, კახეთში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული, გუბერნატორი **გიორგი ღვინიაშვილი** თავისი ადმინისტრაციით, თელავის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე **ვასილ დავითაშვილი** და სხვა სტუმრები.

საიუბილეო ღონისძიება გახსნა და სტუმრებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **გიორგი გოცირიძე**. მან მოკლედ ისაუბრა უნივერსიტეტის განვლილ გზაზე, მიმდინარე რეფორმებსა და საერთაშორისო პროექტებზე, ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის მადლობა გადაუხადა იმ ღვაწლმოსილ პროფესორებს, რომლებიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურებოდნენ სტუდენტთა სწავლებისა და აღზრდის საპატიო საქმეს: *„ეს დრო საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ მის წარსულს, დღევანდელობას და ვიმსჯელოთ მომავალზე: გუშინდელი ინსტიტუტი, თავისი სუსტი და ნაკლებად ძლიერი მხარეებით; დღევანდელი უნივერსიტეტი, თავისი ძლიერი და ნაკლებად სუსტი მხარეებით და ხვალინდელი უნივერსიტეტი – ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებლი.*

უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული ხაზი და ჩვენი მოღვაწეობის დინამიკა ლოგიკურად მიგვიყვანს ამ შედეგამდე, მაგრამ ამისათვის აუცილებელია თითოეული ადამიანის მზაობა, ყოველდღიური ზრუნვა საკუთარი რესურსების გამოსავლენად და მის გასაძლიერებლად, გათავისება იმისა, რომ უნივერსიტეტი მხოლოდ მისი ხელმძღვანელობის საზრუნავი და სატვირთი არ არის, ის ყველას საფიქრალია. მისი ერთგულება ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების, იმ თაობის წინაშე ვალდებულებაა, რომლებიც დღეს სწავლობენ და იმ თაობის წინაშეც, რომლებიც ხვალ ისწავლიან, მასზე შეორგულება კი არავის ეპატიება და უდიდეს ტვირთად დააწვება მათ.

ვულოცავ ყველა თელაველს, კახელს, საქართველოს ყველა მოქალაქეს უნივერსიტეტის იუბილეს. ვულოცავ ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს საგანმანათლებლო კერა დღემდე მოიტანა და უანგაროდ ემსახურა მას, ვულოცავ პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებმაც თაობები გამოზარდეს იმ რწმენით, რომ აღმშენებლობა ნგრევას სჯობია და მთავარი ქვეყნის აღმშენებლობისთვის ზრუნვაა, ვულოცავ ყოფილ და ამჟამინდელ სტუდენტებს, რომლებიც აქ დაფრთიანდნენ და კვლავაც დაფრთიანდებიან.

მინდა გითხრათ, რომ თითოეულ საქმეს თავგანწირვა, კონსტანტინე გამსახურდიას თქმით, „გულის სისხლი“ სჭირდება, ამის გარეშე დიდი საქმეები არ კეთდება. ამ რწმენით ვარ მე დღეს უნივერსიტეტში და ამისკენ მოგიწოდებთ ყველას. მადლობა ყველა ჩვენს მეგობარს, ვინც თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაძლიერებას ემსახურება.“

შემდგომ, დამსწრე საზოგადოებამ იხილა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი, რომელიც ასახავდა უნივერსიტეტის განვლილ გზას დაფუძნებიდან – 1939 წლიდან დღემდე, კახეთის ღირსშესანიშნაობებს, სახელოვან მამულიშვილებს, თელავს, როგორც ადმინისტრაციულ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს.

„ამდენი უცხოელი სტუმარი და ამდენი საერთაშორისო პარტნიორი თელავის უნივერსიტეტს ნამდვილად არ ჰყოლია. ეს ყველაფერი სწავლების ხარისხის ამაღლებას და სტუდენტ-პროფესორთა მობილობას შეუწყობს ხელს ევროპულ თუ სხვა ცნობილ უნივერსიტეტებში. ნამდვილად მისასალმებელია რექტორატის და თითოეული თანამშრომლის მცდელობა თელავის უნივერსიტეტის საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანისათვის“ – აღნიშნა გამოსვლისას ბატონმა **გიორგი არსენიშვილმა**.

თელაველ კოლეგებს უცხოელი პარტნიორებიც მიესალმნენ ნიდერლანდებიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, უკრაინიდან, ამიერკავკასიიდან.

დავიდოვი ალაჰ-ვერდი, განჯის უნივერსიტეტის პროფესორი: *„ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის მეგობრობის ისტორია მრავალ საუკუნეს ითვლის. დღეს ჩვენ ჩამოვედით საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში - თელავში იმისათვის, რომ მონაწილეობა მივიღოთ თელავის უნივერსიტეტის დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში. ჩვენი უნივერსიტეტები თანამშრომლობენ, ხოლო ჩვენი მეგობრობა და მეზობლობა მუდმივი და ძლიერია, ის დღითიდღე კიდევ უფრო და უფრო ძლიერდება.“*

ოლექსანდრ ბოიკო, პროფესორი, გოგოლის სახელობის ნიჟინის (უკრაინა) სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი: *„მოგესალმებით ნიჟინის უნივერსიტეტის სახელით და გადმოგცემთ ჩემი კოლეგების გულთბილ მოკითხვას და მოლოცვას. ჩვენი პარტნიორობა დიდ დროს არ ითვლის, თუმცა იმ პირველმა ნაბიჯებმა, რომლებიც სამეცნიერო ნაშრომების გაცვლასა თუ კონფერენციაში ერთობლივ მონაწილეობაში გამოიხატა, დღევანდელ იუბილეზე მოპატიჟებამ უკვე ჩაუყარა მყარი საფუძველი ჩვენს მომავალ მტკიცე მეგობრობას და მეცნიერულ მჭიდრო თანამშრომლობას.*

მე და ჩემი კოლეგა, ბატონი ოლექსანდრ მელნიჩუკი დიდად მოხარულნი ვართ იმით, რომ ამ მართლაც საზეიმო დღეებში თქვენთან ვართ, რომ ვიგრძენით ქართული სტუმართმოყვარეობის მადლი და ვეცნობით საქართველოს ამ შესანიშნავ მხარეს.“

ღონისძიება დასრულდა სპეციალურად იუბილესათვის შექმნილი თელავის უნივერსიტეტის ჰიმნით. სტუმრების წინაშე თესაუ-ს ახალი დროშაც წარადგინეს.

ნელი ცქიტიშვილი
თესაუ-ს საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი

სახელმძღვანელოები

გვინდა ამგვარი „ალტერნატივა“?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინიციატივით, პირველი კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოებთან დაკავშირებულ საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. მოწვეულნი იყვნენ როგორც სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, ასევე სკოლის დირექტორები, პედაგოგები, განათლების ექსპერტები და სპეციალისტები.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა პირველი კლასის ყველა სახელმძღვანელოს შესახებ იმსჯელეს. განიხილეს მათი შედგენის მეთოდური თუ შინაარსობრივი პრინციპები, მათ შორის „დედაენის“, როგორც გოგებაშვილის პრინციპებზე აგებული ასევე ალტერნატიული მეთოდით შედგენილი სახელმძღვანელოს მიზანშეწონილობის საკითხი.

გთავაზობთ შეხვედრის ორი მონაწილის მოსაზრებას.

დამანა მელიქიშვილი
თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი, ქართული ენათმეცნიერების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი

ბოლო წლებში „დედაენის“ არაერთი სახელმძღვანელო შეიქმნა. მიმდინარე წელს 11 „დედაენას“ მიენიჭა სახელმძღვანელოს გრიფი, ვფიქრობ, ეს მეტისმეტია. მე ძირფესვიანად არ შემისწავლია თითოეული მათგანი, თუმცა შვილებისა და შვილიშვილების გამო ზოგიერთს უკეთ ვიცნობ, ნაწილს ახლა გადავხედე. ჩემი აზრით, ეს არც არის გოგებაშვილისეული „დედაენის“ ალტერნატიული სახელმძღვანელოები, რადგან ყველა ერთ პრინციპზეა აგებული, გოგებაშვილის პრინციპზე, სხვაობა, ძირითადად, ტექსტებსა და მეთოდოლოგიაშია. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ამდენი „დედაენის“ შეთავაზება პედაგოგებისათვის, უბრალოდ, საჭირო არც არის, კიდევ ვიმეორებ, თუნდაც იმიტომ, რომ ეს არ არის ალტერნატიულის შეთავაზება. ისე კი, არჩევანის უფლება და საშუალება აუცილებლად უნდა ჰქონდეს პედაგოგს 3 ან, მაქსიმუმ, 4 „დედაენას“ შორის.

„დედაენის“ ავტორი, უბრალოდ, პრაქტიკოსი პედაგოგი კი არა, მოწოდებით პედაგოგი უნდა იყოს, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცის ამ ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია და მეთოდოლოგია.

მოგეხსენებათ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, ზოგადად, სახელმძღვანელოს ნებისმიერი ასაკის ან რანგის ადამიანისთვის. ეს მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება და მისი შედგენის კრიტერიუმებიც მეტ დატვირთვას იძენს, როცა საქმე ეხება დაწყებითი კლასის სახელმძღვანელოს, რადგან აქ, წერა-კითხვის სწავლებასთან ერთად, უმთავრესია მოცემული იყოს მორალური, ზნეობრივი აღზრდის გაკვეთილები. გოგებაშვილის „დედაენაში“ ხომ ეს არაჩვეულებრივადაა გაკეთებული, მას პირდაპირ ცნებები შემოაქვს – სიყვარული, ბოროტება, მეგობრობა და ა.შ. შესაბამისი პატარ-პატარა მოთხრობებით, საიდანაც ბავშვი სწავლობს მეგობართან, დედასთან, ავადმყოფთან, ზოგადად, გარე სამყაროსთან ურთიერთობას. ზედმეტად მიმაჩნია იმაზე საუბარი, რამდენად დახვეწილი მეთოდოლოგიით არის ეს მოწოდებული, ამის შესახებ არაერთხელ დაწერილა და ამ თვალსაზრისით ალტერნატიულის ძიება არც არის საჭირო. სხვა საქმეა ტექსტების ადაპტირების საკითხი, თუმცა, რა თქმა უნდა, არა ყველა ტექსტის. ძალიან არ მომწონს, როცა „დედაენიდან“ ამოღებულია ისეთი ტექსტი, სადაც მოხსენიებულია, მაგალითად, სიტყვა „კევრი“. შეიძლება თანამედროვე ქართულში იგი აღარ იხმარებოდეს, მაგრამ მისი ცოდნა აუცილებელია, რადგან ეს არის არა მარტო მშობლიური ქვეყნის, არამედ კაცობრიობის ისტორიის ერთი მცირე ნიშანი. მით უმეტეს, რომ იქვე შეიძლება თანამედროვე შესაბამისი ტერმინით შედგენილი პატარა ტექსტის მიწოდება.

დაწყებითი კლასის სახემძღვანლოს შედგენისას ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი. მისი ავტორი, უბრალოდ, პრაქტიკოსი პედაგოგი კი არა, მოწოდებით პედაგოგი უნდა იყოს, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცის ამ ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია და მეთოდოლოგია. გვყავს კი დღეს ჩვენ ასეთი რანგის პედაგოგები? ან კიდევ – დაწყებით კლასებში ისეთი კვალიფიკაციის მასწავლებლები, რომელთათვის სახელმძღვანელო დოგმად კი არ აღიქმება, არამედ მხოლოდ საშუალებად მიზნის მისაღწევად? კარგმა სახელმძღვანელომ ერთდროულად მიმართულებაც უნდა მისცეს მასწავლებელს და საშუალებაც, რომ თავისი თვალსაზრისი (კონტინგენტის გათვალისწინებით) მიაწოდეს აღსაზრდელებს, შექმნას მათთვის თავისუფალი აზროვნების პირობები. სწორედ ამას ახერხებს გოგებაშვილის „დედაენა“ ცნებების შემოტანით, რომლის შესახებაც მოგახსენეთ. დღეს, კომპიუტერიზაციის ეპოქაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, აღმზრდელობითი თვალსაზრისით, იმ სამყაროსთან შეხება, რომელშიც გოგებაშვილის მშვენიერ მოთხრობებს შევყავართ. ასევე აუცილებლად მიმაჩნია ასეთ სახელმძღვანელოში ადაპტირებული ტექსტების გვერდით, ზოგიერთი ტექსტის უცვლელად გადმოტანა. ათვისების თვალსაზრისით ეს რთული ნამდვილად არ იქნება.

გადაჭარბებული ფერადოვნება ბავშვს ყურადღებას უფანტავს. ამგვარად გაფორმებული წიგნები შეიძლება მისაღები იყოს სკოლამდელი დაწესებულებებისთვის, სკოლისთვის კი აუცილებელია შეიქმნას სერიოზული, აკადემიური ტიპის სახელმძღვანელო, როგორც ვიზუალურად ისე შინაარსობრივად.

არანაკლებ სერიოზულ საკითხად მიმაჩნია სახელმძღვანელოების, განსაკუთრებით დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოების, გარეგნული მხარე. ძალიან არ მომწონს ეს ჭრელა-ჭრელა, ხშირ შემთხვევაში, უგემოვნოდ გაფორმებული წიგნები. ჯერ ერთი გადაჭარბებული ფერადოვნება და სათამაშოები ყურადღებას უფანტავს ბავშვს, იგი ვეღარ არის კონცენტრირებული არსებითზე და მეორეც, ეს პოლიგრაფიული სიჭრელე ზრდის ფასს. დღევანდელ პირობებში კი ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამგვარად გაფორმებული წიგნები შეიძლება მისაღები იყოს სკოლამდელი დაწესებულებებისთვის, სკოლისთვის კი აუცილებელია შეიქმნას სერიოზული, აკადემიური ტიპის სახელმძღვანელო, როგორც ვიზუალურად ისე შინაარსობრივად. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გრიფირების წესი გამკაცრდება. ძალიან კარგი თუ ასე იქნება, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ყველა ეს მხარე გათვალისწინებული იქნება. მთავარია, გრიფირების პროცესი კომპეტენტურ ადამიანებს მიენდოთ, რომლებიც ამავე დროს ობიექტურებიც იქნებიან, თორემ არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა საზოგადოებისთვის ცნობილ, თავის საქმეში ნამდვილად კომპეტენტურ ადამიანებს, არაობიექტური გადაწყვეტილება მიუღიათ. როცა „დედაენაზე“ ვსაუბრობთ ასეთი მიდგომა ყოვლად დაუშვებელია.

გია მურღულია
24-ე საჯარო სკოლის დირექტორი

„დედაენის“ საკითხი ყოველთვის აქტუალურია. პირველ რიგში იმიტომ, რომ ამ წიგნით შედის ადამიანი საკუთარი ენის წიაღში, მის სამყაროში და ეცნობა მშობლიურ ენას. კარგად მოგეხსენებათ, რომ ენა არ არის უბრალოდ კომუნიკაციის საშუალება, ენა არის მსოფლაღქმა, სამყაროს ხედვის მოდელი, რომელსაც ირჩევს ესა თუ ის ხალხი, ერი. ენა საუკუნეების განმავლობაში ყალიბდება, იხვეწება, სრულიქმნება. ამიტომ, ცხადია, გასაკვირი არ არის ის უზარმაზარი ინტერესი, რომელიც ყოველთვის და ყველა დროში თან ახლავს „დედაენაზე“ მსჯელობას. ამგვარი ინტერესი ათმაგად ზრდის პასუხისმგებლობას როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსი, ისე სკოლის, მასწავლებლის, მშობლის, როდესაც საქმე სახელმძღვანელოს შერჩევას ეხება.

იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ რამდენჯერმე დაიხვეწა. რამდენადაც მახსოვს, ბოლო რედაქცია 1912 წელს, გოგებაშვილის სიცოცხლის ბოლოს მოხდა. „დედაენა“ რომ მუდმივად უნდა უმჯობესდებოდეს, ამის შესახებ თავად იაკობი საუბრობდა, იმ მიღწევათა კვალობაზე, რასაც განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე მეცნიერება სწავლების შესახებ დაანახებს საზოგადოებას. ბუნებრივია, არსებობს მდგრადი, უცვლელი პრინციპები, რაც იაკობის „დედაენის“ რაობას განსაზღვრავს და რომლის შენარჩუნება არშენარჩუნებაზე დიდი ვნებათაღელვა იმართება ხოლმე. იაკობისეულმა პრინციპებმა, რითაც თაობები აღიზარდა საქართველოში, ნამდვილად გაამართლა და ჩვენც, ბუნებრივია, არანაირი უფლება არ გვაქვს ეჭვი შევიტანოთ მათ მართებულობაში. ეს, სრულიად ერთმნიშვნელოვანია. მეორე მხრივ, აქ კვლავ გავიხსენებ, იაკობი ამბობდა, რომ შესაძლოა პრინციპის განხორციელების, ტექსტების შერჩევის, მასალის განლაგების კვალობაზე „დედაენა“ მუდმივად უნდა იცვლებოდეს, ანუ თვითონ ავტორი საუბრობდა განვითარების აუცილებლობაზე. როცა დღევანდელი „დედაენის“ ავტორები. აცხადებენ, რომ ეყრდნობიან და ანვითარებენ გოგებაშვილის პრინციპებს და მისი რეალიზების სხვადასხვა საშუალებას ეძიებენ, ეს სრულიად დასაშვები ფორმაა და მისასალმებელიც კი, ოღონდ ეს პრინციპები ნამდვილად განვითარდეს. მეტსაც გეტყვით, ბუნებაში არაფერი არსებობს უცვლელი და აბსოლუტურად შეუცვლელი. სავსებით დასაშვებად მიმაჩნია ის, რომ შესაძლოა გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც ისეთ პრინციპებზე ააგებს დედაენის სწავლებას, რომელიც განსხვავებული იქნება გოგებაშვილისეული პრინციპებისაგან და, იმავდროულად, იქნება ხარისხიანი და შედეგიანი. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ არ გვექნება უფლება ამ ადამიანს, ხარისხიანად შესრულებულ სამუშაოზე, ვუთხრათ უარი და წავართვათ უფლება, იფიქროს და იმუშაოს ამ თემაზე. ეს, რაც შეეხება ზოგად „დედაენის“ სახელმძღვანელოს პრინციპებს. ახლა მოდით ვნახოთ, რა მდგომარეობაა დღეისათვის. ამჟამად, 10 „დედაენა“ გვაქვს. ძალიან შორს ვარ იმ აზრისაგან, ათივე ხელთუქმნელი ძეგლია პედაგოგიური მეცნიერების და დიდაქტიკის. ვფიქრობ, არ იყო ურიგო ის გადაწყვეტილება რაც ადრე მუშაობდა ამ მიმართულებით. მაგალითად, თითოეულ საგანს ჰქონდა თავისი სასწავლო მეთოდური, თუ სამეცნიერო-მეთოდური საბჭო, სადაც მუშაობდნენ აღიარებული ექსპერტები, მეცნიერები. ისინი აფასებდნენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ან ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო ესა თუ ის წამოწყება, ესა თუ ის სახელმძღვანელო, მეთოდიკა და ა.შ. ჩემი აზრით, სახელმძღვანელოში მარტო ტექსტის, წინადადებების შეცვლა, ერთი მასალის მეორეთი ჩანაცვლება მაშინ, როდესაც პრინციპები უცვლელია, არ ნიშნავს სახელმძღვანელოს ალტერნატივას. მე რომ იაკობის „დედაენის“ ყველა ტექსტი სხვა ტექსტით შევცვალო, სახელმძღვანელო გავათანამედროვო, *ურმის* ნაცვლად ჩავწერო *მერსედესი*... ა.შ. ეს, რასაკვირველია, თვითონ პრინციპს ვერანაირად ვერ შეცვლის. ამდენად, ასეთი წიგნი ალტერნატიულ სახელმძღვანელოდ, პრინციპების დონეზე, არ უნდა განიხილებოდეს.

სავსებით დასაშვებად მიმაჩნია ის, რომ შესაძლოა გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც ისეთ პრინციპებზე ააგებს დედაენის სწავლებას, რომელიც განსხვავებული იქნება გოგებაშვილისეული პრინციპებისაგან და, იმავდროულად, იქნება ხარისხიანი და შედეგიანი.

ზოგადად, ალტერნატიული სახელმძღვანელოების იდეა, ძალიან გონივრულია, მაგრამ გეტყვით იმასაც, რომ საქართველოში არ მეგულება იმდენი ადამიანი, რომ 10 „დედაენა“, 20 ბიოლოგიის, 30 ფიზიკის სახელმძღვანელო დაწეროს. უფრო მეტიც, ვისაც მოეპრიანება, ყველა რომ სახელმძღვანელოს წერს, ეს მართებულად და სწორად არ მიმაჩნია. გამოცდილებამ, განსაკუთრებით ბოლო წლებში, არაერთხელ დაგვარწმუნა, რომ სახელმძღვანელოების შერჩევის პრაქტიკა მეტ დაკვირვებას, პასუხისმგებლობას მოითხოვს. სკოლა არ არის დაუკვირვებელი ექსპერიმენტების ადგილი. არაერთხელ მსმენია ასეთი შეხედულება: კარგია, რაც მეტი სახელმძღვანელო და რაც მეტი არჩევანი ექნება მასწავლებელს. ვიზიარებ ამ აზრს, ოღონდ, ერთი დაზუსტებით: ბევრი სახელმძღვანელო კარგი იქნებოდა მაშინ, თუ უმეტესობა იქნებოდა ხარისხიანი. დროა, დავიწყოთ მსჯელობა, რამდენად ხარისხიანი სახელმძღვანელოები გვაქვს, რამდენად განსხვავებულია, რამდენად ქმნის ალტერნატივას პედაგოგიური ხედვის, პედაგოგიური აზროვნების თვალსაზრისით. თუკი ეს, პრაქტიკულად, ერთი და იგივე პრინციპებია და უბრალოდ, მასალაა განსხვავებული, მაშინ ამაზეც უნდა შევთანხმდეთ, გვინდა ჩვენ ამგვარი „ალტერნატივა?“ დღეისათვის მოქმედი ათი „დედაენიდან“ ვთვლი, რომ ორ-სამს აქვს ფრიად ორიგინალური სახე, პრინციპების ერთგულების თვალსაზრისით, ერთ-ორ შემთხვევაში – ახალი პრინციპების მოძიების თვალსაზრისით, ტექსტების ადეკვატურობის თვალსაზრისით, ტექსტების შერჩევის, გემოვნების თვალსაზრისითაც და ა.შ. სახელმძღვანელოს შეფასების ათასი კრიტერიუმი არსებობს. ყველაფერ ამას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება. კომპეტენტურმა ადამიანებმა უნდა გადაწყვიტონ, რომელ სახელმძღვანელოებშია განხორციელებული რეალური ალტერნატივა და რომელს უნდა გაუწიოს რეკომენდაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. სახელმძღვანელოს აგებას არა მარტო გემოვნება, არა მარტო ლიტერატურული კომპეტენცია სჭირდება, არამედ პედაგოგიური და ფსიქოლოგიური კომპეტენციაც. რეკომენდებული სახელმძღვანელო უნდა ეფუძნებოდეს პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, მეთოდოლოგიური, ტექნოლოგიური აზრის მიღწევებსა და რეკომენდაციებს. იმედი მაქვს, სახელმძღვანელოები დაიხვეწება ახალი რეალიების კვალობაზე და მომავალში ბევრად უკეთესი იქნება.

დროა, დავიწყოთ მსჯელობა, რამდენად ხარისხიანი სახელმძღვანელოები გვაქვს, რამდენად განსხვავებულია, რამდენად ქმნის ალტერნატივას პედაგოგიური ხედვის, პედაგოგიური აზროვნების თვალსაზრისით.

საუბრები ბიბლიაზე

მეშვიდე დღის დასაწყისი

რუბრიკას უძღვება
როლანდ ჩხეიძე

„გასრულდა ცა და მიწა მთელი მათი მორთულობითურთ. გაასრულა ღმერთმა მეექვსე დღეს თავისი საქმე, რაც გააკეთა და დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი საქმისგან, რაც გააკეთა. აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმიდაჰყო იგი, რადგან ამ დღეს დაისვენა ღმერთმა ყოველი საქმისგან, რასაც ქმნიდა ღმერთი და აკეთებდა“ (დაბ. 2:1-3).

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი თვითონ არ არის სამყაროს შემოქმედი, სხვა არსებისაგან განსხვავებით, უფალმა თავისი სული მხოლოდ მას შთაბერა და სიკეთით სავსე ქვეყანა მას უბოძა. შესაბამისად, მხოლოდ ადამიანი ცხოვრობს როგორც მატერიალურ, ისე სულიერ სამყაროში, მაგრამ მისთვის და ქვეყნისათვის, რომელსაც ის განკარგავს, სულიერი სამყარო მხოლოდ იმ შემთხვევაშია მისაწვდომი, თუ უფლის ნებაზე იქნება დაუნჯებული, აღასრულებს აღთქმას და კეთილისაგან ბოროტს უფლის მცნებათა თანახმად განარჩევს. ამრიგად, შესაქმის დასრულების შემდეგ, მეშვიდე დღიდან, ადამიანსა და სამყაროს საკუთარი არსებისა და ბუნების კანონების შესაბამისად უნდა ეცხოვრა. ეს იყო ღვთის მიერ სამყაროსა და ადამიანის სასიკეთოდ დაწესებული კანონები. ამ კანონების დაცვა ადამიანს, სამყაროში ერთადერთ ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილ არსებას ევალებოდა.

მეშვიდე დღეს, რომელიც – როგორც წმინდა მამები ფიქრობენ – დღესაც გრძელდება, უფალმა შესაქმე გაასრულა. ამ დღეს უფალმა შაბათი შეარქვა, რაც შინაარსით სიმშვიდესა და ერთსულოვნებას ნიშნავს; აკურთხა ღმერთმა შაბათი, ქვეყანა სამართავად ადამიანს გადასცა და ბრძანა: „ექვს დღეს იმუშავე, და აკეთე შენი საქმეები; მეშვიდე დღე კი უფლის, შენი ღვთის შაბათია. არა საქმე არ გააკეთოთ, არც შენ, არც შენმა ვაჟმა, არც შენმა ასულმა, არც შენმა ყმამ, არც შენმა მხევალმა, არც შენმა პირუტყვმა, არც შენმა მდგმურმა, სახლში რომ გყავს. რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მასშია, და მეშვიდე დღეს შეისვენა“ (გამ. 20:9-11). მოგვიანებით, ეს მცნება ადამიანმა დაივიწყა, ანუ მისი ცნობიერება უღმერთობით დაეცა და მხოლოდ მაშინ გაიხსენა უფალი, როდესაც წარმართული ძალადობის მონა გახდა. მცნებაც მაშინ დაუბრუნა უფალმა ადამიანს, ფარაონის ტყვეობიდან რომ გამოჰყავდა, ხოლო იესო ქრისტემ ამ მცნებას ახალი შინაარსი და ძალა შესძინა.

ბოროტების შეცნობა

ბიბლიურ ისტორიებში რა სახის მატარებელიც არ უნდა იყოს, ღვთის მიერ ბოძებულ სიკეთეში, ადამის მიერ შემოტანილი ბოროტება, ეს იქნება: ბნელი ნათელის გვერდით, ადამიანის მდევარი, მეგზური თუ ყოველდღიურ ყოფაში „მოხმობილი“ ძალა, ის მაინც დაუშვებელი ხასიათის სიმახინჯის გამოვლინებაა და სიკეთის შერყვნილ სახედ წარმოგვიდგება.

მორწმუნე ადამიანის რჯულის კანონის საშუალებით, ბოროტებასთან სულიერ ბრძოლას შემდეგნაირად გვიხატავს წმინდა მოციქული პავლე:

„14. ...ვიცით, რომ რჯული სულიერია, მე კი ხორციელი ვარ და ცოდვას მიყიდული.

15. ვინაიდან არ მესმის რას ვაკეთებ: იმიტომ, რომ იმას კი არ ვაკეთებ, რაც მსურს, არამედ იმას, რაც მძულს.

16. ხოლო თუ იმას ვაკეთებ რაც არა მსურს, მაშასადამე, ვაღიარებ, რომ რჯული კეთილია.

17. ასე რომ, მე კი არ ვაკეთებ ამას, არამედ ცოდვა, რომელიც მკვიდრობს ჩემში.

18. რადგანაც ვიცი, რომ ჩემში, ესე იგი, ჩემს სხეულში არ არის კეთილი; არის ჩემში სიკეთის ნდომა, მაგრამ როგორ აღვასრულო სიკეთე, ამას კი ვეღარ ვპოულობ ჩემში.

19. ვინაიდან კეთილს კი არ ვაკეთებ, რომელიც მსურს, არამედ ბოროტს, რომელიც არ მსურს.

20. ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არა მსურს, მე კი არ ვაკეთებ მას, არამედ ცოდვა, რომელიც მკვიდრობს ჩემში“ (რომ. 7:14).

გავიხსენოთ, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის ადამიანს, რომელმაც თავისი გონებრივი და სულიერი სრულყოფილების გამო, უფლის მადლი მოიხვეჭა და მესამე ცაზე – უფრო სრული სამოთხე მოიხილა, ვიდრე ადამს ეპყრა. წარმოდგენილ ნაწყვეტში, „რომაელთა მიმართ“ ეპისტოლედან, ბოროტებასთან ჭიდილზეა საუბარი. ეს პავლე მოციქულის, გაცილებით უფრო გვიანდელი ნერილია, ვიდრე მის მიერ სამოთხის ხილვა:

„ვიცი ერთი კაცი ქრისტეში, რომელიც ამ თოთხმეტი წლის წინათ (არ ვიცი, სხეულით თუ უსხეულოდ; ღმერთმა იცის) ატაცებულ იქნა მესამე ცამდე; და ვიცი ამ კაცისა (მხოლოდ არ ვიცი, სხეულით თუ უსხეულოდ; ღმერთმა იცის), რომ ატაცებულ იქნა სამოთხეში, სადაც ისმინა ენითუთქმელი სიტყვები, რომელთა წარმოთქმის ნებაც არა აქვს კაცს“ (2 კორ. 12:2-4). ამ ხილვის შესახებ აი ასე, მესამე პირში, წერს წმინდა პავლე და ჩვენ ვხედავთ, რომ ამგვარი ხილვაც კი ვერ იქნება ნიშანი ბოროტებასთან ბრძოლაში სრული გამარჯვებისა.

როგორც ვხედავთ, ადამმა თავისი შთამომავლობა არა მხოლოდ უმძიმეს ცოდვაში ჩააგდო და უფალთან პირდაპირ ურთიერთობას ჩამოაშორა, არამედ მან, ღმერთის ქმნილება – ადამიანი, რეალური არსება – არარეალობასთან, ბოროტებასთან დაუნდობელ ბრძოლაში ჩააბა. ადამის დაცემის წუთიდან მოყოლებული, ეზიარება რა ადამიანი ეშმაკისაგან ნაბოძებ ცოდვას, ბრძოლის მიზეზიცა და მსხვერპლიც მუდმივად თვითონ ხდება. ასეთ ბრძოლაში შესული ყოველი ჩვენგანი, ვისაც შესწევს უფლისაკენ მობრუნების ძალა, ალბათ ისევ პავლე მოციქულის სიტყვებს მოუხმობს და იტყვის: „ვაიმე, ბედკრულს! ვინ დამიხსნის სიკვდილის ამ სხეულისაგან? ვმადლობ ღმერთს, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს... რადგანაც სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში ცოდვისა და სიკვდილის რჯულისაგან გამათავისუფლა მე“ (რომ. 7:24-25; 8:2).

ჭეშმარიტად უსაზღვროა უფლის სიყვარული ყოველი ადამიანისადმი, რამეთუ ეს სიტყვები ერთნაირად შეიძლებოდა აღმოეთქვა ღვთის მხილველ ადამსაც, მესამე ცამდე აღტაცებულ წმიდა მოციქულსაც, მაცხოვრის ნებისმიერ მოწაფესაც და საკუთარ ცოდვებთან ხელჩართული ბრძოლით მოქანცულ ყოველ ჩვენგანსაც.

სამოთხეში ადამიანი დაეცა, მაგრამ მასში ბოროტება არ დამკვიდრებულა. ადამიანში არსებულმა ღვთის ხატმა ღვთის მსგავსების აღდგენისათვის დაიწყო ბრძოლა. ამ ბრძოლაში ერთ-ერთი უმთავრესი კი იმის ცოდნაა, თუ როგორ ჩნდება ბოროტება და რა სახით ვლინდება იგი.

სამი მთავარი წყარო ბოროტებისა და ექვსი რამ უფლის საძულველი

ადამიანს, უფალმა თავისი ნება დასაბამითვე ამცნო. ადამს მხოლოდ სიკეთეში უნდა ეცხოვრა და უარი ეთქვა ბოროტების ნაყოფის შეცნობაზე. ბოროტების ნაყოფი სიკვდილია, მოკვდავობა კი ადამიანისათვის არაბუნებრივია (დაბ. 2:16-17). მამაკაცი და დედაკაცი მაინც ეზიარა ბოროტებას (დაბ. 3:22). ადამიანის სამოთხიდან განდევნის შემდეგ, უფალმა სიცოცხლის ხესთან მისასვლელის დასაცავად, ედემის აღმოსავლეთით ქერუბიმები და ცეცხლოვანი, მბრუნავი მახვილი დააყენა (დაბ. 3:24), რის შედეგადაც, ადამიანისათვის უკვდავების მოპოვება მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდა შესაძლებელი, თუ ყოველგვარ ბოროტებაზე შეგნებულ და სრულ უარს იტყვის.

უფლის ნებით, ადამიანს არ დაუკარგავს შესაძლებლობა თავიდან შეიცნოს სიკეთე არა მხოლოდ როგორც ღვთის მიერ განხორციელებული ფაქტი, არამედ, როგორც ადამიანში მომქმედი, ბოროტების საწინააღმდეგოდ მომართული ცოცხალი ძალა. დაინახოს არა მხოლოდ ბოროტების გვერდით არსებული სიკეთე, არამედ ისეთი სიკეთე, რასაც ბოროტება ვერ ეკარება და რომელიც ბოროტებას ვერ თვალეღება; ეზიაროს ჭეშმარიტ სიკეთეს, რაც მხოლოდ მაცხოვრის განკაცების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

ადამიანს უჭირს ბოროტებასთან ბრძოლა. თვითდამკვიდრებისათვის ბოროტება, იმდენად მოურიდებლად და თავხედურად მოქმედებს (მათ. 4:1-11; ლუკ. 4:1-13), რომ უფალსაც არ ერიდება. უფალმა იესო ქრისტემ მაგალითით გვიჩვენებს, რომ ეშმაკთან ბრძოლაში ადამიანის პირად ნებას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. თვითონ ადამიანმა – იესომ მიუგო ბოროტს: „გამშორდი, სატანა, რადგანაც დაწერილია: უფალს ღმერთს შენსას თაყვანი ეცი და მხოლოდ მას ემსახურე“ (მათ. 4:10). ამის შემდეგ განხორციელდა ადამიანისა და უფლის საერთო ნება და: „მაშინ მიატოვა იგი ეშმაკმა, და აჰა, ანგელოზები მოვიდნენ და ემსახურებოდნენ მას“ (მათ. 4:11).

წმინდა წერილის მიხედვით:

ბოროტება და მთავარი შემწე ბოროტებისა თვით ეშმაკია, სწორედ ის ცდილობს აცდუნოს და ბოროტებას აზიაროს ადამიანი. წმინდა ეფრემ ასური ბრძანებს: „ვაი მას ვინც იცის სიკეთე და ხელს ბოროტებას უწვდის, რადგან ბოლო ჟამს, იგი ბოროტთა ანგელოზთა ხელთ მიიქცევა“ *(Твоф рени иже во св ты. отца нашего Ефрема Сирина.) . т Изд. 3ф. М.и 1881. стр. 535).*

სწორედ იმისათვის, რათა ყოველი ცალკეული მორწმუნე ამ უბედურების მსხვერპლი არ გახდეს, ძე ღმერთი მამა ღმერთს შესთხოვს: „არ გევედრები, რომ აიტაცო ისინი ამ ქვეყნიდან, არამედ, რათა ბოროტისაგან დაიფარო ისინი“ (იოან. 17:15). და სწორედ ამის გამო ყოველდღიურად მრავალგზის შესთხოვს უფალს ქრისტიანი: „...ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩუენ ბოროტისაგან“ (მათ. 6:13).

მეორე წყარო ბოროტებისა ადამიანია. წმინდა ათანასე დიდი გვასწავლის: „ბოროტება არც ღმერთშია და არც ღმერთიდანაა. ის არ იყო დასაბამად და მას არანაირი ყოფა არ გააჩნია. მაგრამ ადამიანები, რომლებსაც სიკეთის არსი აქვთ მივიწყებული, თვითნებობენ და ისე ქმედებენ რომ, ბოროტების თანაზიარნი ხდებიან. რის შედეგადაც, მათი ქმედება ჯერ უღმერთობად, ხოლო შემდეგ არყოფნად გადაიქცევა“ *(Творени св титф ел Афанаси Великого.) . 1. Изд. тф. ТСЛи190т стр. 133).*

ასეთ ადამიანებს მიმართავს უფალი: „იქედნეს ნაშიერნო, როგორ შეგიძლიათ, თავად უკეთურთ, კეთილი სიტყვის თქმა? ვინაიდან გულის სისავსისგან მეტყველებს ბაგე. კეთილ კაცს კეთილი საუნჯისგან გამოაქვს კეთილი, და ბოროტ კაცს ბოროტი საუნჯისგან გამოაქვს ბოროტი“ (მათ. 12:34-35).

მესამე წყარო ბოროტებისა თვითონ ცოდვაა. წმინდა იოანე ოქროპირი გვასწავლის: იესო ქრისტე ისეთ მცნებებს გვთავაზობს, რომელთა შესრულებაც დიდად სასარგებლოა და სრული ნეტარებაა. ამ მცნებებს ჩვენთვის და ყველასათვის, ვინც ჩვენს გვერდით იმყოფება, უდიდესი სიკეთე მოაქვს. სატანა კი, ყოველთვის უმძიმეს დავალებებს გვაძლევს, ცოდვაში გვითრევს, სანაცვლოდ, მხოლოდ გეენას ცეცხლსა გვპირდება. ვიცით, რომ ეშმაკი ჩვენი გადარჩენის დაუძინებელი მტერია, მაგრამ მაინც უმეტესწილად მისი ნებით ვმოქმედებთ, და არარსებულ ცოდვას წარმოვქმნით. ცოდვას თავისი სამკვიდრებელი და ქმედების ძალა არ გააჩნია. ისევე როგორც ადამის დროს, ცოდვა დღესაც, ჩვენი დაუდევრობით პოულობს საკუთარ ადგილს, – სხვაგან კი არა, – უშუალოდ ჩვენს ცხოვრებაში (*Творени св таго отца нашего Иоанна Злато3стаго. Т. 9. СПб.и1903. стр.: 68и1тт608).*

* * *

სრულყოფილი ადამიანი ის კი არ არის, ვისაც მხოლოდ სიკეთის ბოროტებისაგან გარჩევა შეუძლია, არამედ ის, ვისაც შეუძლია ამოიცნოს გზა ბოროტებისა და გადაარჩინოს თავისი სული (ებრ. 5:14). მაცხოვარი თვითონ მოვიდა ადამის შთამომავლობასთან და ბრძანა: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე; ვერავინ მივა მამაჩემთან, თუ არა ჩემს მიერ“ (იოან. 14:6); ამ დღიდან, ვინც მართალი ქრისტიანია, მისთვის გზა უკვე ნათელია. „ღმერთი იმისათვის გაჩნდა ადამიანად, რომ ადამიანი გახდეს ღმერთი“ *(В. Лосскийи Очерк мистического богослови Восточной 0 еркви. М. 1991. С. 10).*

მაცხოვრის მიერ დაღვრილი სისხლი გადაიქცა ახალ, მაცოცხლებელ, ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზად, როგორც მოციქული პავლე მოგვიწოდებს: „ძმანო, რაკი გვაქვს სითამამე საწმიდარში შესვლისა იესოს სისხლის მეოხებით, ახალი და ცოცხალი გზით, რომელიც გაგვიხსნა მან ფარდით, ესე იგი თავისი ხორცით, და გვყავს მღვდელმთავარი ღვთის სახლში, მივეახლოთ მას წრფელი გულითა და რწმენის სისრულით, უკეთური სინიდისისაგან სხურებით გულგაწმენდილნი და სუფთა წყლით ტანგაბანილნი“ (ებრ. 10:19-22).

მიუხედავად იმისა, რომ ადამის ცოდვა მაცხოვრის მიერ უკვე გამოსყიდულია, წმინდანთა ქრისტიანულ საქციელს, პიროვნების, ხალხისა და ქვეყნისათვის მაინც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ამავე დროს, იოანე ღვთისმეტყველი ქრისტიან ერს ასე მიმართავს: „ვიცით, რომ ღვთისაგან ვართ, და მთელი ქვეყანა ბოროტებაშია დანთქმული“ (1 იოან 5:19). ბოროტებაზე მდგარ სოფელში არის ცოდვები, რასაც ღვთისმორწმუნე ადამიანი არ უნდა ეგუებოდეს და რაც უფრო ძლიერია ქვეყანაში ღვთის რწმენა, მით უფრო ნაკლებია მასში ღვთის საძულველი სიბილწეები.

აჰა, ექვსი რამ უფლის საძულველი, და აჰა, შვიდი სიბილწე უფლის თვალში – გვასწავლის ბრძენი სოლომონ მეფე:

- ამპარტავანი თვალები,
- ცრუ ენა,
- უბრალო სისხლისმღვრელი ხელები,
- ავის მზრახველი გული,
- საბოროტოდ მარდი ფეხები,
- ტყუილების აღმომსუნთქველი და ცრუ მოწმე,
- ძმათა შორის შუღლის მთესველი. (იგავ. 6:16-19).

ის, ვინც ასეთ უფლის საძულველ საქციელს და სიბილწეს სჩადის, ბოროტის მსახურია და ბოროტია.

მზერა თავისა ბოროტისა და მუსვრა ბოროტებისა

ადამის ცოდვით დაცემის შემდეგ ადამიანი ცოდვილი იბადება. მან კარგად იცის, როგორ ჩაიდინოს ბოროტება და უჭირს სიკეთის კეთება. სწორედ ამიტომ, კვლავაც მოგვიწოდებს იოანე ღვთისმეტყველი: „საყვარელო, ნუ ჰბაძავ ბოროტს, არამედ კეთილს მიჰბაძე, ვინაიდან კეთილისმოქმედი ღვთისაგან არის, ბოროტმოქმედს კი არ უხილავს ღმერთი“ (3 იოან. 1:11).

ბოროტი ცდილობს, ადამიანი მთლიანად უკუაქციოს საკუთარი ცოდვების განცდისაგან, შეატრიალოს ამპარტავნებისაკენ, ყოველდღიური სიამოვნებისაკენ, მთავრობისმოყვარეობისაკენ და ბოლოს, სხეულთან ერთად, მისი სულიც სიკვდილს დაუმორჩილოს, ანუ საბოლოოდ გაანადგუროს. ღმერთი კი სულია და ის ადამიანს არწმუნებს, რომ ჭეშმარიტი სიკეთე მუდმივი ფასეულობები და უკვდავებაა, რაც თავისთავად სულიერი სისრულისათვის ყოველდღიური ბრძოლაა. უფალი ამ ბრძოლაში საბოლოო არჩევანის ნებას პიროვნებას აძლევს. სწორედ ეს არჩევანია ადამიანების ძირითადი განმასხვავებელი. მოციქული პავლე ამ განსხვავებას ასე გაგვიმარტავს: „...ხორციელნი ხორცისასა იზრახავენ, სულიერნი კი – სულისასა“ (რომ. 8:5).

ბოროტება მუდმივად თავის დროს ელოდება. ის ყოველთვის ადამიანზე გამარჯვებას ცდილობს. ქრისტიანი ბოროტით აღძრულ ამპარტავნებას – სიმდაბლეს უპირისპირებს; ანგარებას – მოწყალებით თოკავს; სიძვას – უმანკოებით ახშობს; მრისხანებას – სიმშვიდით აქარწყლებს; ნაყროვანებას – მარხულობით იოკებს; შურის სიბნელეს – სიყვარულით ანათებს; სასოწარკვეთილებას – ღმერთისადმი უსაზღვრო სასოებით ასხივოსნებს. ყველა ამ შვიდ სათნოებას ქრისტიანი გულით ატარებს და ბოროტისაგან აღძრულ შვიდ მომაკვდინებელ ცოდვას თავისი სიყვარულით აღსავსე სულიერებით წამლობს.

ბოროტება მუდამ თან სდევს, როგორც სიკეთეს ზოგადად, ისე ადამიანს – კერძოდ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანი თავისი არსით სიკეთეა და კეთილისმქმნელია. უფალმა ასე უბრძანა ბოროტს: „მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცს შორის, შენს თესლსა და დედაკაცის თესლს შორის: ის თავს გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე!“ (დაბად. 3:15).

ღმერთის ეს სიტყვები მორწმუნეს უდიდეს ძალას ანიჭებს. ბოროტება უფლის მიერ გამოსყიდულმა ყოველმა ქრისტიანმა თვითონ უნდა დაამარცხოს. თავის მხრივ, ბოროტება ადვილად არ ეგუება საკუთარ მარცხს. იოანე ღვთისმეტყველი თავის გამოცხადებაში ასეთ სურათს გვიხატავს: „მაშინ განრისხდა ურჩხული ქალზე და გასნია, რათა შებმოდა დანარჩენებს მისი მოდგმიდან, რომლებიც იცავენ ღვთის მცნებებს და აქვთ იესოს მოწმობა“ (გამოცხ. 12:17).

ღვთისმორწმუნე ქრისტიანს არ აშინებს აბობოქრებული ბოროტი. იგი ბოროტის თავს უმზერს, რათა მისი არსი საბოლოოდ გაანადგუროს. მებრძოლ ქრისტიანს ბოროტის მიერ ადამიანში აღძრული მაცდუნებელი დანაპირები და შეთავაზებები კი არა, თვით მიწიერი ქრისტიანული კეთილდღეობაც აღარ იტაცებს. ის, როგორც ჭეშმარიტი მეომარი, საბოლოო გამანადგურებელი ბრძოლისთვისაა მოწოდებული. ძნელია ჯეროვნად შეაფასო ჭეშმარიტი ქრისტიანული გმირობა. ეს რაღაც ზეადამიანური და მიუწვდომელი საქციელია. ასეთი ნათელი მაგალითი მრავალადაა წმინდანთა უკომპრომისო ცხოვრებაში. ასეთი იყო აბო თბილელი (ისმაიტელყოფილი).

„აფხაზთა მეფემ სთხოვა აბოს დარჩენილიყო აფხაზეთში: „მეშინის მე შენთჳს, ნუუკუე კუალად განგდრიკონ შენ სარწმუნოებისაგან ქრისტეისისა ნებსით, გინა უნებლიეთ და ესოდენი შრომაჲ შენი წარწყმიდო”, – უთხრა მან აბოს. „განმიტევე მე, რაჲთა ეუწყოს განცხადებულად ქრისტიანობაჲ ჩემი ქრისტეს მოძულეთა მათ” – უპასუხა ნეტარმა... წამების დღეს წმიდა აბომ დაიბანა პირი, იცხო ზეთი, მიიღო წმიდა ზიარება და ასე სადღესასწაულოდ განემზადა საწამებლად. „ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მე უფლისა ჩემისა მივალ, ლოცვით წარმგზავნეთ და მშჳდობამან უფლისამან დაგიცვენინ თქუენ”, – ამხნევებდა იგი მისი მოსალოდნელი სიკვდილით დამწუხრებულ ქრისტიანებს. ამირამ მისი მოკვლა ბრძანა. წმიდა აბომ ჯვარედინად დაიწყო გულზე ხელები და სიხარულით მოუდრიკა ქედი მახვილს“ („წმიდანთა ცხოვრება“, ტომი I, თბილისი, 2001 წ.).

ამ ქრისტიანული საქციელის მთავარი მამოძრავებელი ძალა, როგორც თვით წმინდანის სიტყვებიდან ჩანს, მაცხოვრის მიერ წარმოთქმული ერთ-ერთი იგავიც იყო:

„როდესაც ანთებენ სანთელს, საწყაოს ქვეშ კი არ დგამენ, არამედ სასანთლეზე, და უნათებს ყველა შინ მყოფს. დაე, ასევე ნათობდეს თქვენი ნათელი კაცთა წინაშე, რათა ისინი ხედავდნენ თქვენს კეთილ საქმეებს და ადიდებდნენ მამას თქვენსას ზეციერს“ (მათ. 5:15-16).

თუ ადამის საქციელი საყოველთაოა და თვალში საცემია, ჭეშმარიტი ქრისტიანი ანთებული სანთელია, ეს სანთელი სასანთლეზე დგას და ხვიმირის ქვეშ არ იმალება. ასეთი ქრისტიანებისა და ქრისტიანი ერის ცხოვრება მარადიულობით იმოსება და მას ბოროტის მიერ მოვლინებული ვერანაირი ძალა ვერ დაამარცხებს და როგორც მოციქული პავლე ბრძანებს:

„ხოლო როდესაც ეს ხრწნადი შეიმოსავს უხრწნელობას და ეს მოკვდავი შეიმოსავს უკვდავებას, მაშინ აღსრულდება დაწერილი სიტყვა: „დაინთქა სიკვდილი ძლევით; სად არის, სიკვდილო, ნესტარი შენი? სად არის, ჯოჯოხეთო, ძლევა შენი?“ ხოლო სიკვდილის ნესტარი ცოდვაა, ცოდვის ძალა კი – რჯული. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომელმაც მოგვცა ძლევა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ. ამიტომ, ჩემო საყვარელო ძმანო, მტკიცენი იყავით, ურყევნი და უფლის საქმეში მარად მოუღლელნი; იცოდეთ, რომ თქვენი შრომა ფუჭი როდია უფლის წინაშე“ (1 კორინთ. 15:54-58).

თვალსაზრისი

ტყუილი კეთილიც ბოროტია

ორიოდე წლის წინ მე და ჩემი მეგობარი ზაზა ვსაუბრობდით ჩვენს საზოგადოებაში ტყუილის გავრცელების შესახებ. ზაზა მიმტკიცებდა: სადაც არ უნდა წახვიდე, ყველგან ტყუილი შეგხვდებაო. მოკლედ, სოლომან მორბელაძის მოთქმა-გოდება გაგახსენდებოდა კაცს. შედიხარ რესტორანში, მიმტანი 10 წუთში გპირდება შეკვეთილის მოტანას და ნახევარ საათში მოაქვს; ბაზარში ყიდულობ 3 კილო პომიდორს და ნახევარ კილოგრამს გაკლებენ; ავტობუსის მძღოლი დაგპირდება 5 წუთში გასვლას და ნახევარ საათს გალოდინებს; პარტია წინასაარჩევნოდ შეგპირდება ოქროს სარაიას და, ჩემსას რომ დავამთავრებ, მერეო, – არჩევნებში გამარჯვებული გეტყვის; „რაღაცბანკი“ – გპირდება: „გახსენი 500-ლარიანი ანაბარი და მილიონერი გახდებიო“ და იქვე გულისხმობს: ეს ტყუილია და ამას შენ თვითონ უნდა მიხვდეო.

რატომ არის ასე ფეხმოკიდებული ტყუილი ჩვენს საზოგადოებაში? რატომ არ მიიჩნევა ტყუილის მხილება ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებად? რატომ დავკარგეთ ტყუილზე გაბრაზების და ტყუილის მხილების უნარი?

ტყუილი ხომ დაგმობილია ჩვენი რჯულითაც (როგორც ქრისტიანული, ასევე, მუსულმანური რელიგიებით), ჩვენი ისტორიითაც, ჩვენი ლიტერატურითაც. ჩვენი ლიტერატურის მთავარი მოტივი მართლის თქმა და სამსახურია სწორედ.

„დღეს კი ცოდვა ცოდვად აღარ მიიჩნევა და იგი ლამის ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებად წარმოგვიდგინონ“ (ილია II, 2010 წლის საშობაო ეპისტოლე). ერთ-ერთ ასეთ ცოდვად, პირველ რიგში, ტყუილია საგულისხმებელი.

ლიტერატურა ვახსენეთ და უნდა აღინიშნოს, რომ არ მოიპოვება ქართულ ლიტერატურაში ასე თუ ისე ღირებული ნაწარმოები, რომელიც ოდნავ მაინც ახალისებდეს ტყუილის თქმას, რომელშიც რაიმენაირი ტყუილი გამოყენებული იყოს კეთილშობილური მიზნის მისაღწევად. აქ უნებურად კ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „ცაბუნია“ გაახსენდება ქართულ საბჭოთა სკოლაში აღზრდილ ადამიანს. ეს მოთხრობა ამკვიდრებდა ე. წ. „კეთილ ტყუილზე“ ცრუ წარმოდგენებს. თუმცა, ამ მოთხრობაშივეა ასახული, როგორ ებლანდება ჯარისკაცი თავისსავე ტყუილის აბლაბუდაში და გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება. ტყუილების ჭაობში არიან ჩაძირული კლასიკოს დ. კლდიაშვილის პერსონაჟებიც. ტყუილი მათი ცხოვრების წესად ქცეულა, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მათ ტრაგიკულ ბედს. ამას თითქოს აცნობიერებს სოლომან მორბელაძე და სასოწარკვეთილი ღაღადებს: *„...მშიერ, გაღატაკებულ კაცს რავა უნდა ენდო კაცი? პატიოსნებაც დავიწყებული აქვს და სვინდისიც. ცოდვათაც აღარ მიაჩნია, თუკი რამე წაგღლიტა, წაგაფცქვნა, მოგატყუა, გაგაცუცურაკა! ყველაფერი დავიწყებული აქვს ამ ოხერი გაფშიკებული კუჭის გამოისობით... ტყუილი, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზე ტყუილი და უპირულობა! რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წანწალიდან? მოვატყუეთ, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზე მომადგება კიდევ. საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება გვეღირსოს... ღმერთო, ღმერთო!“*

„კაცური ცხოვრებისათვის“ და ქართველი ადამიანისათვის შეუთავსებელი, სრულიად უცხოა ქართული ხალხური ზღაპრის გმირის – ნაცარქექიას ბუნება (თუმცა, სამწუხაროდ, ეს გმირი ხალხში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია ზღაპრის გმირებს შორის. იხ. მკითხველთა გამოკითხვა, გაზ. „კვირის პალიტრა“, 1-7 თებერვალი, 2010 წ.). ამ ზღაპარში ქართული ბუნების მქონე პერსონაჟის შთაბეჭდილებას საკუთარი სახლ-კარიდან სტუმრის მიერ მოტყუებით გამოძევებული დევი უფრო ტოვებს.

საქართველოს წარსულიდანაც ჭირს ისეთი მაგალითების გახსენება, რომელშიც ტყუილი იქნება სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობის განმსაზღვრელი. პირიქით კია. პატიოსნება, სიმართლე და სამართლიანობა, ხანდახან გულუბრყვილობაც კი – ეს თვისებები ჩანს საქართველოს ისტორიის ყოველი ფეხის ნაბიჯზე (შეიძლება, გაგვახსენდეს დიდგორის ომში მტრის რიგებში შეპარული 200 თვითმკვლელი ან ერეკლე II-ს მეომრების მიერ ასპინძის ბრძოლის წინ ხიდის თავხეების ჩუმად გადახერხვა. ეს მაგალითები ბრძოლაში გამოყენებული ტაქტიკური ნაბიჯებია მხოლოდ, რომლებიც სამხედრო თვალსაზრისით სრულიად გამართლებულია). ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ საქართველოში არავინ იტყუებოდა, არამედ იმის, რომ ასეთი ფაქტები ყოველთვის დაგმობილია ქართულ როგორც ისტორიულ, ასევე მხატვრულ მწერლობაში. პრინციპი – „ქმნა მართლისა სამართლისა“ (ანუ მართალი, სწორი სამართლის) – განმსჭვალავია ქართული ლიტერატურისაც, ისტორიოგრაფიისაც და ქართველი ადამიანის ბუნებისა საერთოდ.

კვლავ ისმის კითხვა: რატომღაა ასე ფეხმოკიდებული ტყუილი ჩვენს საზოგადოებაში? ჩვენ არ გვაქვს ამ მოვლენის ყველა მიზეზის დასახელებისა და დახასიათების ამბიცია. უბრალოდ, გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ერთ-ერთ მიზეზზე, რომელიც არც თუ პატარა როლს თამაშობს ამ სენის გავრცელებაში. ვგულისხმობთ ქართული საბჭოთა კინოს ზოგიერთი ნიმუშის მავნე ზეგავლენას საზოგადოებაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე. როგორც ცნობილია, ქართული ტელევიზიები მაყურებელს არ ანებივრებს ქართული ფილმებით. მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში არის პროგრამებში ქართული კომედიები, რომლებიც, გარდა იმისა რომ არ წარმოადგენენ ქართული კინოს საუკეთესო ნიმუშებს, ეწევიან ტყუილის პროპაგანდას. დავასახელებთ რამდენიმე ფილმს: „უდიპლომო სასიძო“, „მხიარული რომანი“, „თოჯინები იცინიან“, „ლონდრე“.

„უდიპლომო სასიძოს“ მთავარი პერსონაჟი სკოლადამთავრებული ბიჭია, რომელიც თანასოფლელი თანატოლებისაგან იმით განსხვავდება, რომ მუშაობის მაგივრად ძილსა და თამაშში ატარებს დროს. ბიჭიკოს თანასოფლელი გოგონა უყვარს, მაგრამ სასიმამროს უდიპლომოსათვის არ ემეტება ქალიშვილი. ბიჭიკოს კი დიპლომი არ აქვს. დედამისი ატყუებს მთელ სოფელს, ჩემი ბიჭი გამოცდებისთვის ემზადება და მუშაობისთვის არ ცალიაო. ბიჭიკოც ატყუებს დედამისს და გამოცდების დროს უმაღლესში ჩაბარების ნაცვლად მეზობელ სოფელში ნათესავთან იმალება. მატყუარაა ბიჭიკოს შეყვარებულის მამაც – იგი თავისი ქალიშვილისთვის განკუთვნილ წერილს მალულად კითხულობს.

ტყუილით ცდილობს არასასურველი სასიძოსგან თავის არიდებას იპოლიტე ხვიჩიას პერსონაჟიც კინოფილმიდან „მხიარული რომანი“. იგი საიდუმლოდ კითხულობს ქალიშვილისადმი მიწერილ წერილს და პასუხსაც თვითონვე უწერს. მოტყუებითვე აცილებს ოჯახს ტრაგედიას იპოლიტეს და, როდესაც ქალიშვილის გაპარვით განრისხებულ ძმას ნამდვილ პისტოლეტს სპორტულით შეუცვლის.

ტყუილებით იქმნება სასაცილო ეპიზოდები კინოფილმში „თოჯინები იცინიან“. რეზიკოს არ სურს კონსერვატორიაში სწავლის გაგრძელება და მამასთან ერთად ატყუებს დედას და ბებიას, თითქოს კონსერვატორიაში წარმატებით ჩაბარა. იგი, ასევე, ატყუებს ახალგაცნობილ გოგონას, რომ სტუდენტია და ხშირად დადის ბიბლიოთეკაში.

კომენტარს ვერ უძლებს „ლონდრეში“ განვითარებული სიუჟეტი. აქ ტყუილს, რომელიც მღვდლის მიმართ ხორციელდება, საზღვარი არ აქვს. საერთოდ, ცალკე თემაა რელიგიის მსახურთა სახეები ქართულ საბჭოთა კინოში. ერთადერთი ფილმი, რომელშიც ეკლესიის წარმომადგენელი დადებით პერსონაჟადაა გამოყვანილი, არის „მამლუქი“. სხვაგან ისინი არიან უარყოფითი ადამიანები – მატყუარები, ლოთები, მრუშები... კინოფილმის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ ქორწილის ეპიზოდში წარმოდგენილია ათეულობით პერსონაჟი. მიაქციეთ ყურადღება ქორწილის ეპიზოდს. ამ ეპიზოდში მთვრალი ადამიანის სახით ნაჩვენებია მხოლოდ და მხოლოდ მღვდელი, რომელიც ფეხზე ვერ დგება და ისე აზიარებს ქალბატონ ხორეშანს (მსახიობები – კოტე დაუშვილი და ვერიკო ანჯაფარიძე).

აღსანიშნავია, რომ ქართველ მსახიობთა (ი. ხვიჩია, ა. კვანტალიანი, დ. წეროძე, ს. თაყაიშვილი, კ. დაუშვილი, მ. თბილელი, რ. გიორგობიანი და სხვათა) ოსტატობა, პოპულარობა და ფილმების კომედიური ჟანრი მაყურებელს უქმნის განცდას, რომ ზოგიერთი ტყუილი უვნებელია, სასაცილოა და მას ადამიანისათვის ზიანი არ მოაქვს.

ჩვენ აქ არ განგვიხილავს ის საკითხები, რომლებიც ამ ფილმებშია დაყენებული. თუმცა, მიგვაჩნია, რომ სასარგებლო იქნება, თუ სკოლები მოაწყობენ ჯგუფურ ჩვენებებს, სადაც მოსწავლეები და პედაგოგები (მშობლებიც) ერთად განიხილავენ ფილმებს და მასში ასახულ პრობლემებს, თითოეულ მომენტს. იგივე ფორმატში ფილმების ჩვენება ტელევიზიებითაც კარგი იქნებოდა.

ბოლოს, გვინდა გავიხსენოთ ბიბლიური სიბრძნე:

„მოისპე შენგან პარვაი ზაკული და ცრუნი ბაგენი განიშორე შენგან.

თუალნი შენნი მართლ ხედვენ და წამნი შენნი სიმართლესა წამებენ.

მართალ-ყვენ ალაგნი ფერხთა შენთანი და გზანი შენი წარიმართენ“ (იგავნი სოლომონისანი, თავი 4.)

ამ და სხვა საკითხებზე ავტორი სიამოვნებით გაიზიარებს მოსაზრებებს ელექტრონულ მისამართზე: aiazma@yahoo.com

გიორგი ჭაუჭიძე
წალკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი

კანადის განათლების სისტემა და მისი მორგების პერსპექტივები ქართული საგანმანათლებლო სისტემისათვის

„ადამიანის განვითარების ინდექსის“ მიხედვით, რომელსაც გაეროს ექსპერტები სისტემატურად ატარებენ, კანადა, ცხოვრების დონით, მსოფლიოში წამყვან პოზიციას ინარჩუნებს. ამის ერთ-ერთ მიზეზად განათლების სისტემის მაღალი დონეც შეიძლება ჩაითვალოს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მისი განათლების სისტემის გამოცდილების გადახედვა.

როგორც ცნობილია, ქვეყანაში ფუნქციონირებს ორი ოფიციალური ენა – ინგლისური და ფრანგული. როგორც ბევრ ქვეყანაში, კანადაშიც, ძირითადად, სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლებაა.

კანადის სახელმწიფო, „დიდი რვიანის“ სხვა წევრ ქვეყნებთან შედარებით, ბიუჯეტიდან ყველაზე მეტ თანხას ხარჯავს განათლებაში. მრავალი ქვეყნისგან განსხვავებით, კანადაში არ არის ერთიანი სახელმწიფო განათლების სისტემა. ცენტრალური ხელისუფლება უმაღლესი დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს, ზრუნავს რა ადგილობრივი მოსახლეობის და სამხედრო მოსამსახურეების წარმატებულ განათლებაზე.

კანადის განათლების სისტემა თავისი უმაღლესი სტანდარტებითაა ცნობილი. თითოეულ პროვინციას აქვს საკუთარი სისტემა, რომელიც უფრო მეტადაა დახვეწილი, ვიდრე გერმანიის ფედერაციის სისტემა. ისინი ერთმანეთისგან საკუთარი პროვინციის რელიგიის, კულტურისა და ისტორიის თავისებურებების მიხედვით განსხვავდებიან.

საბავშვო ბაღის და დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები საშუალო და უმაღლეს სკოლაში გადადიან. მოსწავლეების 90%-ზე მეტი სწავლას სახელმწიფოს უმაღლეს სკოლებში აგრძელებს, დანარჩენი კი – კერძო სკოლაში ან სახლში იღებს განათლებას (homescool).

6 წლიდან 18 წლამდე გრძელდება ცოდნის მიღება დაწყებით და საშუალო სკოლებში. დაწყებით და საშუალო სკოლებში განათლება მხოლოდ ერთ-ერთ (ინგლისურ ან ფრანგულ) ენაზე მიმდინარეობს. ყველა სკოლა კომპიუტერიზებულია და მუდმივად აქვს ინტერნეტი.

კანადაში ორასამდე სახელმწიფო და კერძო კოლეჯი ფუნქციონირებს. კოლეჯები არის როგორც საზოგადოებრივი (Community Colleges), ისე ტექნიკური (Technical Institutes). მათი ძირითადი ფუნქცია წარმოებისა და ბიზნესისათვის პროფესიული კადრების მომზადებაა.

კანადაში ასამდე უნივერსიტეტია. პირველი უნივერსიტეტი (University Laval) 1663 წელს დაარსდა. უნივერსიტეტების უმრავლესობა განლაგებულია ონტარიოს პროვინციაში და ბრიტანეთის კოლუმბიაში, რადგან კანადის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სწორედ ამ ორ რეგიონში ცხოვრობს.

კანადის უმაღლესი სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა ის, რომ სტუდენტებს სთავაზობენ პროგრამას **Co-op programs**. **Co-op programs** თანამშრომლობითი სწავლებაა, რაც ნიშნავს, რომ ერთი სემესტრი (ზოგჯერ შეიძლება რამდენიმე სემესტრზეც გაგრძელდეს) სტუდენტების სწავლა ხორციელდება არა აუდიტორიებში, არამედ ლაბორატორიებში, მათი პროფილიდან გამომდინარე – სხვადასხვა დაწესებულებებში. სპეციალობიდან გამომდინარე საჭირო სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება ხდება. საინტერესოა, რომ მსგავსი სტაჟირებების დროს სტუდენტს გარკვეულ თანხას უხდიან. **Co-op programs,** თავის მხრივ, ხელს უწყობს და ავითარებს სწავლების სხვადასხვა მიდგომებს, როგორიცაა: **School-to-work transition** (სკოლიდან პრაქტიკაში გადასვლა), **Service-learning** (სერვისის სწავლება), **Experiential Learning** (გამოცდილებითი სწავლება).

სკოლების უმრავლესობა მოსწავლეებს ე.წ. „სემესტრულ სისტემას“ (Semester-System) სთავაზობს. მოსწავლეები, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, რვა საგანს სწავლობენ. თითოეული მოსწავლე, სემესტრის განმავლობაში, *ორ მთავარ* და *ორ არჩევით საგანს* ირჩევს. ძირითად საგნებს ეკუთვნის: ინგლისური ენა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და საზოგადოებრივი მეცნიერებები. სწავლის პროცესში, ასევე, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები და სხვა დამატებითი აქტივობებია ჩართული.

კანადის მთავრობამ, 2000-2010 წლებში, მიიღო პროგრამა სტუდენტურ გრანტებზე, რომლის შედეგად სასწავლო გრანტი 100 000-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო. გრანტის რაოდენობა 3 ათასიდან 15 ათასამდე კანადურ დოლარს შეადგენს. თითოეულმა სტუდენტმა შეიძლება მიიღოს გრანტი 15 ათას დოლარამდე, ოთხი სასწავლო წლის განმავლობაში. ეს გრანტები სწავლის გადასახადის საერთო თანხას ამცირებს. კანადა მსოფლიოში პირველ ადგილზეა ერთ სულ მოსახლეზე განათლების დაფინანსების თვალსაზრისით. ალბათ, ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელმაც ამ ქვეყნის ასეთი წარმატება განაპირობა.

კანადა, თავისი განათლების სისტემით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოზარდებში არა მხოლოდ ცოდნის და ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების, არამედ საზოგადოებისათვის სასარგებლო ჩვევების განვითარებას. მოსწავლეები ადრეული ასაკიდანვე წახალისდებიან საკუთარი, ინდივიდუალური ტემპის განვითარებისათვის. გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვები იმავე კლასებში სწავლობენ, სადაც ნორმალური განვითარებისა და ნიჭიერი ბავშვები. გამონაკლისი მხოლოდ გონებრივი განვითარების სერიოზული შეფერხების მქონე მოსწავლეებზე კეთდება. ასეთ გარემო პირობებში კანადელი ბავშვები ნაკლებად წარმატებული თანატოლების თანაგრძნობას სწავლობენ; იციან, რომ სამყაროში განსხვავებული ადამიანები არსებობენ. შესაბამისად, ისინი ნაკლებად ქედმაღალნი იზრდებიან და ცდილობენ, ზიანი არ მიაყენონ მათზე წარუმატებელ ადამიანებს.

მოხალისეობის პრინციპი კანადელების მეორე ბუნება გახდა. მოსწავლეები იძულებულნი არიან, აიღონ ნახევარი სასწავლო კურსი ან შეასრულონ მოხალისის ფუნქციები სხვადასხვა სახის საქველმოქმედო ორგანიზაციებში, რათა საშუალო სკოლა დაამთავრონ. კურსდამთავრებულები იმით ფასდებიან, თუ რამდენად გულმოწყალენი და ქველმოქმედები არიან. კანადაში ბუნებრივი მოვლენაა, მოხალისე საავადმყოფოს მისაღებში, ქუჩაში ნაგვის ურნებთან (რომ არავინ დაყაროს ნაგავი ძირს), დახმარების საჭიროების მქონე ადამიანებისათვის საჭმლის ან ტანსაცმლის განაწილების პროცესში. კანადელები მსოფლიო მოსახლეობის ერთ პროცენტს შეადგენენ, მაგრამ მსოფლიოს მხარდაჭერის მხრივ სამყაროში მათი წილი 10 %-ს შეადგენს.

მაშინ როდესაც საქართველოში განათლების სისტემა ჯერ კიდევ დახვეწის და ჩამოყალიბების პროცესშია, საინტერესო იქნებოდა კანადის განათლების სისტემის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის გაზიარება და ქართულ საგანმანათლებლო სისტემაზე მორგება. ასეთად შეიძლება დასახელდეს **Co-op programs,** რომელიც თეორიული ცოდნის მქონე სტუდენტს პრაქტიკის პირველი საფეხურის წარმატებით გავლის საშუალებას მისცემს, რაც შემდგომი დასაქმებისთვის და ეფექტური მუშაობისთვის მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. ასევე მნიშვნელოვანია გარკვეული საკითხების გადმოღება სერვისის სწავლებიდან, რადგან საქართველოსთვის სერვისის სწავლება უკანასკნელი წლების განმავლობაში პრიორიტეტული გახდა. საინტერესო იქნებოდა საშუალო საფეხურზე საგნების არჩევითობის საკითხის სისტემურობის გადახედვაც. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, დაფინანსების სფეროც, რომელიც საშუალებას მისცემს ნიჭიერ, მაგრამ ხელმოკლე ოჯახის შვილებს მიიღონ განათლება.

კანადის განათლების სისტემის გაცნობის დროს ყველაზე დიდი ინტერესი იმ მიზეზმა გამოიწვია, რის გამოც მოსწავლეების უმეტესობას (60-70%-ს), სკოლის დამთავრების შემდეგ, უმაღლესი განათლების მიღების სურვილი აქვს და ამ სასწავლებლებში წარმატებითაც სწავლობს მაშინ, როდესაც საქართველოში უპრეცედენტოდ დაიწია სწავლის სურვილმა და მოტივაციამ, რამაც წიგნიერების დონის დაცემა გამოიწვია, რისი დიდი წილი, სამწუხაროდ, ახალ თაობაზე მოდის. ეს კი შემაშფოთებელია.

სახელმწიფომ და საზოგადოებამ, მიზანმიმართული პროგრამებით და პროპაგანდით, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე უნდა ვიზრუნოთ. თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ახალ თაობაში განათლების მიღების სურვილი და მოტივაცია ამაღლდეს, რადგან განათლებული საზოგადოების გარეშე რთული იქნება ისეთი სახელმწიფოს შენება, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით. ამისთვის კი საინტერესო იქნებოდა სწორედ კანადის მსგავსი ქვეყნების განათლების სისტემის გამოცდილების გაზიარება, რომელსაც ბრმად კი არ გადმოვიტანთ, არამედ ჩვენს რელიგიურ, კულტურულ და ისტორიულ თავისებურებას მოვარგებთ.

გიორგი ლაცაბიძე

თვალსაზრისი

სკოლა უმასწავლებლოდ?! ანუ, რატომ მოხვდნენ პედაგოგიური სასწავლებლები პროკრუსტეს სარეცელზე?!

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს ერთ-ერთმა ტელევიზიამ ერთობ დამაფიქრებელი ინფორმაცია გადმოსცა – ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციას მსოფლიოს 17 ქვეყანაში ჩაუტარებია სოციოლოგიური კვლევა მასწავლებელთა კადრების მომზადებისა და მეთოდური უზრუნველყოფის შესახებ. ამ კვლევის ობიექტურობისა და სამართლიანობის დასტურია მისი შედეგი: კერძოდ, საქართველო მასწავლებელთა მომზადების თვალსაზრისით, 17 ქვეყნიდან ბოლო ადგილზეა! ძუნწად, მაგრამ ითქვა იმაზეც, რომ ამ კუთხით შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს ინფორმაციაც უტყუარი და ჭეშმარიტია (ასეთი კვლევებისადმი უნდობლობა ლამის გამიქარწყლდეს).

აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ (რექტორი – პროფესორი **გიორგი ონნიანი**) მართლაც შეძლო, საქართველოს ერთ-ერთ უძველეს პედაგოგიურ ინსტიტუტში, სხვების მსგავსად, ნაცარტუტად არ ექცია წინა თაობათა ნაღვაწ-ნაშრომი და რაღაც ფორმით მაინც შეინარჩუნა პედაგოგიურ-მეთოდიკური მიმართულებები.

კვლევის შედეგები ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა, თუმცა, ასეთი სავალალო თუ იქნებოდა, სიმართლე გითხრათ, არ მოველოდი. საქართველოში ოდითგანვე მაღალ დონეზე იდგა მასწავლებელთა მომზადების საქმე, დღეს კი, XXI საუკუნეში, როცა უაღრესად მრავალფეროვანი გახდა პედაგოგთა პროფესიული განათლების ტექნოლოგიები, ასეთი დაბალი მაჩვენებელი მართლაც რომ შემაშფოთებელია. საქმე იმაშია, რომ პედაგოგიური კადრების მომზადებით არათუ ჩამოვრჩებით სხვა ქვეყნებს, არამედ, ფაქტობრივად, ქვეყანაში, დღესდღეობით, არა გვაქვს ისეთი უმაღლესი დაწესებულება, რომელიც სკოლის ყველა საფეხურისთვის მოამზადებს სპეციალისტებს.

დიახ, ბატონებო, სამარცხვინო თუ საგანგაშო მდგომარეობა გვაქვს ისეთ სეგმენტში, რომლითაც საქართველო დამსახურებულად მეწინავეობდა მთელ მსოფლიოში. რაც მთავარია, გამორჩეული ვიყავით ადამიანური რესურსით: ჩვენი ქვეყნის პედაგოგიურ სასწავლებლებში (ინსტიტუტებში) მოღვაწეობდნენ საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი ცნობილი მეცნიერები, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, კერძო საგნების მეთოდიკის გამორჩეული სპეციალისტები, რომელთა ხელშიც იყო მომავალ მასწავლებელთა პროფესიული განათლება, სკოლების მეთოდური უზრუნველყოფა. მათ გამოცდილებას სწავლობდნენ და ნერგავდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირისა თუ ევროპის მოწინავე უნივერსიტეტები (მარტო ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გახსენება რად ღირს, რომელიც მართლაც მეთაური ინსტიტუტი იყო, ტოლს არ უდებდა მოსკოვის ცნობილ პედაგოგიურ ინსტიტუტსაც კი, განსაკუთრებით ქალბატონ ნათელა ვასაძის რექტორობისას).

ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ვიღაც რეფორმატორის ტვინში, შეგნებულად თუ შეუგნებლად (უფრო შეგნებულად მგონია, რადგანაც გლობალისტთა პირველი სამიზნე ეროვნული კულტურა და განათლებაა) გაჩნდა იდეა: რა საჭიროა პედაგოგიური სპეციალობები, გვაქვს უნივერსიტეტები, რომელთა კურსდამთავრებულები მასწავლებლობასაც შეძლებენ და პრეზიდენტობასაც! ასე დაიწყო „ჯვაროსნული ომი“ პედაგოგიური საგანმანათლებლო კერების წინააღმდეგ, ჯერ ყველა პედაგოგიური ინსტიტუტი გადაკეთდა უნივერსიტეტად, შემდგომ კი პედაგოგიური პროფილის ერთადერთი – სულხან-საბას სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტიც – გააუქმეს.

მესმის, რეფორმატორთა ყველა მოსაზრებას, ვარაუდს, იდეას გამართლება, განხორციელება არ უწერია (უშეცდომოც არავინაა!), მაგრამ არსებობს შეცდომა, რომლის პატიებაც ძნელია, განსაკუთრებით თუ ის მიზანმიმართულ ხასიათს ატარებს...

კარგად ბრძანა ამასწინათ ბატონმა პრეზიდენტმა, იმის გამო, რომ ვიღაც იდიოტებმა განათლების რეფორმაში შეცდომა დაუშვეს, მოსწავლეები არ უნდა დაისაჯონონ. ძალიან მკვეთრი ნათქვამია, მაგრამ ამას ნამდვილად იმსახურებენ ის რეფორმატორები, რომლებმაც სკოლა, საერთოდ მთელი საგანმანათლებლო სივრცე „გამოშიგნეს“, ყოველგვარი მოტივაციისა და ეროვნული იდეოლოგიის გარეშე დატოვეს მომავალი თაობები, ქუჩური ხასიათი მისცეს საზოგადოებისა და ერის ესთეტიკას (ქართველი ფილოსოფოსისა და მოაზროვნის კ. კაპანელის სიტყვებია), რომლებიც ლანძღავენ და აგინებენ ავტორიტეტებს, ებრძვიან ტრადიციებს, საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებულ ცხოვრების წესს და ა.შ.

გონიერ ადამიანებს საქართველოში რა გამოლევს, ბევრი წერდა და ამბობდა, მოიცადეთ, წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო..., დრო, ტაროსის დაწმენდა ყველას და ყველაფერს თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენსო. ეს შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ ჯერჯერობით, ჩვენდა საუბედუროდ, დიდი დაკვირვების გარეშეც, კარგად ჩანს რეფორმატორთა მიერ გუშინ გამრუდებული გზის ნაკვალევი – **სკოლა უმოსწავლოდ, უბავშვოდ!!!** ხვალ კი... ხვალ გვექნება სკოლა – უმასწავლებლოდ!

ახლა კი, კვლავ პირველ სიტყვას მოვიდეთ.

იმის გამო, რომ ქვეყნის უმაღლესმა სასწავლებლებმა უარი თქვეს პედაგოგთა მომზადებაზე, უკვე მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების სერიოზული დეფიციტია. თუ ვინმე დაინტერესდება ბოლო წლებში დანიშნულ მასწავლებელთა კვალიფიკაციის შესაბამისობით, მერწმუნეთ, საკვალიფიკო სურათს მიიღებთ როგორც სოფლად, ისე ქალაქად. სოფლის სკოლებში სპეციალობასთან შეუსაბამო დანიშვნებს, გამონაკლისის სახით, კიდევ შეიძლება მოეძებნოს ახსნა (კადრების ნაკლებობით), მაგრამ ქალაქებში, სადაც თითქმის ნებისმიერი სპეციალისტის სიჭარბეა, წარმოიდგინეთ, იგივე მიზეზით (კადრების ნაკლებობით), ინიშნება უცხო ენის სპეციალისტი ქართულის მასწავლებლად, ისტორიკოსი – დაწყებითი კლასების, აგრონომი – ქიმია-ბიოლოგიის, ინჟინერი – მათემატიკის და ა.შ. საქმე იმაშია, რომ ამგვარი „დანიშვნების“ ავტორებს მაინცდამაინც ვერ შეედავები, რადგანაც უნივერსიტეტდამთავრებულთ, ამ ბოლო წლებში, არ ეძლევათ მასწავლებლის კვალიფიკაცია. კაცმა რომ თქვას, ვერც მისცემენ, რადგანაც მომავალ ფილოლოგებს, ფიზიკოსებს, ისტორიკოსებს არ ეკითხებათ პედაგოგიურ-მეთოდიკური მიმართულების ისეთი საგნები, როგორიცაა პედაგოგიკა (ზოგადი მაინც), ფსიქოლოგია (ასაკობრივი მაინც), კერძო საგნის მეთოდიკა (საფუძვლები მაინც), არაფერს ვამბობ პედაგოგიურ პრაქტიკაზე, რომელიც ყველა სპეციალობაზე გაუქმდა, გარდა დაწყებითი სწავლებისა.

დარწმუნებული ვარ, მავანნი გამოსავალს მაგისტრატურაში ხედავენ. მართლაც და, განათლების პროფილის მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა საფუძვლიანად შეისწავლონ აღნიშნული საგნები; სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია პედაგოგიური პრაქტიკაც, მაგრამ სად არიან მაგისტრანტები? თავად განსაჯეთ – ფილოლოგიის ფაკულტეტის არც ერთ კურსდამთავრებულს არ გამოუთქვამს სურვილი ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკის სპეციალობით მაგისტრატურის გავლისა, ხოლო დაწყებითი სწავლების სპეციალობაზე ხუთი თუ ექვსი სტუდენტია. ეს უკვე ტრაგიზმამდე მისული რეალობაა. ქართული ენა ხომ ჩვეულებრივი რიგითი საგანი არაა, ის ქართული სკოლის ბალავარია, საფუძველია, ყოველ შემთხვევაში – უნდა იყოს.

და ეს მაშინ, როცა ყველაზე უხეში გამოთვლითაც კი, საქართველოს სკოლებს დაწყებითი კლასებისათვის წელინადში, სულ მცირე, 500 მასწავლებელი მაინც ესაჭიროება (80-იან წლებში, ოფიციალური მონაცემებით, 700-800 მასწავლებელს ვარაუდობდნენ). დაახლოებით ამდენივეა საჭირო სხვა საგნებშიც. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ასე რომ, საქმე არცთუ ისე მარტივადაა, როგორც ეს მავანს წარმოუდგენია. ჩვენდა სავალალოდ და საუბედუროდ, გლობალიზაცია, ტლანქი ხელით უტევს რა ეროვნულ კულტურასა და განათლებას, განსაცვიფრებელ წარმატებებს აღწევს იქ, სადაც საამისოდ ნოყიერი ნიადაგი ხვდება. ამ მხრივ საქართველო მართლაც „ნოყიერი“ აღმოჩნდა. ჩვენთან, ჩვენივე ხელშეწყობით, „წარმატებით“ მოიშალა განათლების ფუძე-საძირკველი – სკოლა; უარი ვთქვით პედაგოგიურ სპეციალობებზე; მწვანე შუქი ავუნთეთ დილეტანტიზმსა და არაპროფესიონალიზმს, რაც დამღუპველია ისეთი სპეციფიკური სფეროსათვის, როგორიც განათლებაა (სხვათა შორის, ამის ერთგვარი პრელუდია იყო სკოლის დირექტორებად – „მასწავლებელთა მასწავლებლებად“, აგრონომების, ექიმების, ინჟინრების, ეკონომისტების დანიშვნა თუ არჩევა).

ერთი სიტყვით, პრობლემა უამრავია. პატივცემულო მკითხველო, ვიკამათოთ, „ახალი განათლება“ არ დაგვზარდება, ის ხომ ჩვენი გაზეთია, განათლების სფეროს სატკივრის ჩვენება, ტაძრისკენ მიმავალი გზის ძიება და მიგნება ხომ მისი უპირველესი მოვალეობაა. ერთად ვეძებოთ ეს გზა, გზა, რომელიც აგვარიდებს პროკრუსტეს სარეცელს და მიგვიყვანს ტაძართან.

ჯამგუ ავალიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

მოხუცთა გამოცდილება + ახალგაზრდული ენერგია

„ვფიქრობ, აუცილებელია ისეთი საგნის შემოღებაც, რომელსაც, ძირითადად, აღმზრდელობითი დანიშნულება ექნება... იგი უნდა მოიცავდეს ურთიერთობის კულტურას ოჯახში და ნათესავებთან, მეგობრებთან და თანატოლებთან, უფროს და უმცროს თაობასთან...“

(პატრიარქის საშობაო ეპისტოლედან)

მშობლებთან და თემთან ურთიერთობის მიზნით, თბილისის სსიპ 72-ე სკოლის ბაზაზე შეიქმნა კლუბი სახელწოდებით „დედები და ბებიები“, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ეროვნების ქალბატონებს. ძირითადი თემები, რომლებზეც მუშაობენ, არის: ოჯახი და ძალადობა; ჯანსაღი ცხოვრების წესი; თაობათა ურთიერთობა; ჩვენ ჩვენი შვილების თვალით და ა.შ.

მორიგი შეხვედრა მიეძღვნა თაობათა ურთიერთობის საკითხს. შეხვედრა დაიწყო თაობათა შორის კონფლიქტის შესახებ მეცნიერული მოსაზრებების გაცნობით.

თაობათა შორის კონფლიქტის თეორიამ ფსიქოლოგიური დასაბუთება ჰპოვა ზ. ფროიდის მოძღვრებაში. მან „ოიდიპოსის კომპლექსის“ სახელწოდებით ცნობილი მიმართება მშობლებსა და შვილებს შორის ადამიანთა დიდ ჯგუფებზე გაავრცელა. კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰ. მარკუზემ ე.წ. „ოიდიპოსის კომპლექსი“ დააშორა ოჯახურ საზღვრებს და ფართო სოციოლოგიურ ასპარეზზე გადაიტანა. მისი აზრით, კონფლიქტური დამოკიდებულება ყველა თაობისათვის არის დამახასიათებელი.

ლონდონის წამყვანი ფსიქოანალიტიკოსი პიტერ ფონჯი ზ. ფროიდის თეორიის კრიტიკას ნაწილობრივ გამართლებულად მიიჩნევს, მაგრამ ამის მიუხედავად, ეს თეორია დღესაც ყველას იზიდავს და გვახსენებს, თუ რატომ ჩავდივართ ისეთ ქმედებებს, რომლებიც ისევ ჩვენ გვაყენებს ზიანს, რატომ ვხვდებით ისევ და ისევ ერთი და იმავე კონფლიქტში, რატომ გამოვდივართ მშობლების წინააღმდეგ და სხვ. საჭიროა თუ არა ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად „ოიდიპოსის კომპლექსის“ თეორიის მოშველიება – ეს უკვე სხვა საკითხია.

სოციალურ ფსიქოლოგიაში კონფლიქტის ძირითად მიზეზად მოლოდინთა შეუთანხმებლობას მიიჩნევენ. საქმე ისაა, რომ ძველი და ახალი თაობა, დედამთილი, მამამთილი, სიდედრი და სიმამრი, რძალი, სიძე სოციალური როლებია. როლის შესრულება ქცევის გარკვეულ რეპერტუარს გულისხმობს. ეს უკანასკნელი უკავშირდება მოლოდინთა იმ სისტემას, რაც როლის მფლობელს გამოუმუშავდა აღზრდით, ეროვნული ტრადიციების ზეგავლენით. შესაძლებელია, ადამიანი გახდეს დედამთილი, მამამთილი, სიდედრი, სიმამრი, რძალი, სიძე, მაგრამ *„სოციალური ფსიქოლოგიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, იღებს თუ არა პიროვნება შინაგანად როლს, როგორია მისი განწყობისეული დამოკიდებულება იმ რეალურ კავშირ-ურთიერთობებთან, რომელშიაც იგია ჩართული“* (შ. ნადირაშვილი).

შვილის დაქორწინება თითქოს საბოლოო გამოყოფას ნიშნავს მშობლებისაგან. მაგრამ თუნდაც ცალკე ცხოვრობდნენ, უფროს და უმცროს თაობას შორის მყარდება თვისებრივად ახალი ურთიერთობა. ეკონომიკური, სამეურნეო თუ სხვა საოჯახო პრობლემები დასახმარებლად უფროსებს უხმობს. ოჯახური ცხოვრებით გამოწვეული სიხარული, დაბრკოლებები, ეჭვი, მერყეობა, გულისტკივილი მშობლებსა და შვილებს შორის ემოციურ სიახლოვეს მოითხოვს.

მშობლებთან ცხოვრობენ შვილები თუ ცალკე, დედამთილები და მამამთილები, სიდედრები და სიმამრები გარკვეულ როლს ასრულებენ საოჯახო ურთიერთობებში. ამ ურთიერთობებში ზნეობრივი გადახრებით გამოწვეული შეცდომები მოდის როგორც ახალგაზრდების, ისე მოხუცების წილად. ეს შეცდომები გავლენას ახდენს ოჯახის აღმშენებლობით ფუნქციაზე.

ოჯახში თაობათა შორის ურთიერთობის კულტურის შესახებ მოსაზრებები სკოლის უფროსკლასელებმა წარმოადგინეს პროექციის მეთოდით: „მე რომ ბებია ვიყო“, „მე რომ პაპა ვიყო“, „მე რომ რძალი ვიყო“, „მე რომ სიძე ვიყო“....

გთავაზობთ ამონარიდებს მათი შეხედულებებიდან:

ბებია ყველაზე კეთილი არსებაა. ერთხელ სკოლაში კარნავალი იყო. ბებია ღამის სამ საათამდე იჯდა და კერავდა. დილით ჩემი საკარნავალო კაბა მზად იყო (გოგონა).

ყველას აქვს დასვენების დღე, ბებიას კი არა. რაც უნდა დაღლილი იყოს, მაგიდას მაინც გამიწყობს, იქვე დამიჯდება და სანამ არ დავამთავრებ, თვალებში შემომცქერის (ბიჭი).

მე რომ მშობელი ვიყო, არ ვაიძულებდი ჩემს შვილს ჩემთან ეცხოვრა. თუ საშუალებაა, შვილის ოჯახმა ცალკე უნდა იცხოვროს (ბიჭი).

მე რომ მშობელი ვიყო, არ დაველოდებოდი იმას, რომ ჩემმა შვილმა სპეციალურად მთხოვოს დახმარება (ბიჭი).

ბებია ძლივს დათანხმდა, რომ ჩემს ძმას დაეხმაროს ბავშვის აღზრდაში. რამდენჯერ შევესწარი: ის ისე ზრდის შვილიშვილს, როგორც მას სურს და არაფერს ეკითხება ბავშვის დედას. ჩემი რძალი მორიდებული და მომთმენი გოგოა, მაგრამ ვგრძნობ, რომ ბრაზდება (გოგონა).

მე რომ ოჯახი მექნება, არასოდეს ავუკრძალავ ბებიას და პაპას შვილიშვილთან ურთიერთობას და ამას დასასჯელად არ გამოვიყენებ (ბიჭი).

მე რომ ბებია ვიყო, არასოდეს დავეხმარებოდი შვილს იმ მიზნით, რომ სიბერეში სანაცვლოდ მზრუნველობა დავიმსახურო, ბებიასა და პაპას შვილიშვილისადმი მზრუნველობა ყოველთვის უნდა უხაროდეთ (გოგონა).

დედამთილმა შეიძლება შენიშვნა მისცეს რძალს, რძალს კი დედამთილისთვის შენიშვნის მიცემა არ შეშვენის (ბიჭი).

ბებია ჩვენთან ცხოვრობს, მაგრამ იგი ყოველთვის ცალკე ჭამს, დედას არ ელაპარაკება. დედა კეთილი და მხიარული ქალია, მაგრამ ისიც სულ გაჩუმებულია. სახლში მისვლა მეზარება. დედა ხშირად ავადმყოფობს. ბებია ყოველთვის იმას ჩივის, რომ დაიღალა, სიკვდილი უნდა. მე მგონია, ბებია და პაპა ჩვენთან რომ არ ცხოვრობდნენ, დედა კარგად იქნებოდა (ბიჭი).

მე რომ რძალი ვიყო, თუნდაც ძალიან ვიყო გაბრაზებული ჩემს დედამთილზე, ავად თუ გახდება, საჭმელს მაინც მივუტანდი (გოგონა).

ვისურვებდი ჩემი პაპისნაირი ვყოფილიყავი. არასოდეს არ გისაყვედურებს, შენიშვნასაც არ მოგცემს, მაგრამ რაღაცით მაინც გაგრძნობინებს, რომ შენით უკმაყოფილოა. ეს ჩემზე ძალიან მოქმედებს (ბიჭი).

ბებიას და პაპას შეუძლიათ შენიშვნა მისცენ შვილს და არავითარ შემთხვევაში რძალს ან სიძეს (ბიჭი).

ბებოს როცა ვეუბნები, რომ მისი გაკეთებული სადილი გემრიელია, – ძალიან უხარია. რა იქნება დედამ და მამამ ასე გაახარონ ხოლმე (გოგონა).

უფროსკლასელთა შეხედულებებში ნათლად გამოჩნდა როგორც ახალგაზრდის, ისე მოხუცთა შეცდომები.

ისიც უნდა ითქვას: მშობლების შვილებთან ცხოვრება მხოლოდ საოჯახო მეურნეობაში დახმარების საჭიროებით კი არ უნდა ავხსნათ, არამედ, ძირითადად იმ მოთხოვნილებით, რომელიც მარტოობისაგან გამოწვეულ ფსიქიკურ დაძაბულობას ხსნის. მედიცინამ დაამტკიცა, რომ მოხუცები, რომლებიც შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ცხოვრობენ – დიდხანს ცოცხლობენ.

იაპონელმა მეცნიერებმა კეიიტა მორისიტამ საქართველოს მკვიდრთა დღეგრძელობის საიდუმლო სწორედ რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრებაში დაინახა, რადგან განვითარებული პიროვნებისათვის საოჯახო ურთიერთობა მოთხოვნილებადაა გადაქცეული. ამ ურთიერთობის დარღვევას მძიმე, ჯანმრთელობისათვის საშიშ განცდებამდე მიჰყავს ადამიანი. პრობლემის სირთულე უკავშირდება იმ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს თაობებს შორის.

წინააღმდეგობის დაძლევას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ნაკლებადაა დამუშავებული მოხუცთა ფსიქოლოგია. ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემათა შორის ნაკლები ყურადღება ექცევა საოჯახო ურთიერთობის კულტურის აღზრდას, მოხუცთა მიერ ნიშნისგებით მინიშნებებიც ამაზე მეტყველებენ:

ჩვენ რომ აღარ ვიქნებით, თქვენ რჩებით სიკვდილის პირისპირ;

ჩვენ გვიხარია თქვენი ახალგაზრდობა, ჩვენი სიბერე რატომ გზარავთ?

ახალგაზრდობა ღირსებაა, სიბერე კი დანაშაული?

მერე რაა, რომ დავბერდით, იქნებ სიბერე ტვინის ერექციით გაგვეზომა;

მიუხედავად ყველაფრისა ჩვენ გპატიობთ, მაგრამ არ ვივიწყებთ არაფერს. ისიც გვწამს, – ჩვენ რომ აღარ ვიქნებით, როცა ყველაფერი დაჯამდება, თქვენ მოხვალთ ჩვენს საფლავებთან და ბოდიშს მოიხდით.

* * *

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, უფროს და უმცროს თაობას შორის ურთიერთობაში ახალგაზრდებს მოეხთოვებათ მოხუცთა თავისებურებების გათვალისწინება. მოხუცებულობას შემოდგომის ბაღს, ჩამავალ მზეს, ბინდის შემოპარებას ადარებენ. ხომ ლამაზია ეს ყოველივე. ამ საპატიო ასაკში ადამიანები იძენენ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, სიბრძნეს, მოზომილ სიფრთხილეს, მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად მაინც ძნელია მოხუცებულობის საზიდი ტვირთი. ჩივიან, წუწუნებენ მოხუცები: სანამ ახალგაზრდები ვიყავით, ძალა მოგვდევდა, მაგრამ არ ვიცოდით, რაში დაგვეხარჯა. როცა მოვიდა გამოცდილება და ვიცით რა უნდა ვაკეთოთ – ძალა აღარ გვაქვს.

ურთიერთობის კულტურასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა უფროსი და უმცროსი თაობა ახერხებს მოხუცთა გამოცდილებისა და ახალგზარდული ენერგიის შეერთებას.

როზა ირემაშვილი
იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

„ჩვენ და მათემატიკა“

როდესაც სოლომონ ბრძენს უფალმა უთხრა, მთხოვე, რაც გინდა და გიბოძებო, მან დაუფიქრებლად მიუგო: ჭკუა და გონებაო!.. სკოლის სახელი, პირველ რიგში, განისაზღვრება სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე წარმართვით.

დღეს ჩვენი ქვეყანა აღმავლობის გზას ადგას და როგორც არასდროს, ისე ესაჭიროება განსწავლული თაობა. სკოლებში სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვაში გადამწყვეტ როლს საგნობრივი კათედრები ასრულებს. საგნის მაღალ დონეზე სწავლება, ხალისიანი გაკვეთილების ჩატარება, სწავლებისადმი ახლებური მიდგომა, ხშირად საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მოსწავლე დაინტერესო ისეთი საგნით, როგორიც მათემატიკაა. აქ უკვე თავის სათქმელს კლასგარეშე ღონისძიება ამბობს, ამ მიზნით, აბაშის №1 საჯარო სკოლის ტექნიკური კათედრის და მოსწავლეთა თვითმმართველობითი ორგანოს წევრების ერთობლივი მონაწილეობით, 15-19 თებერვალს, ჩატარდა მათემატიკის კვირეული დევიზით: „ჩვენ და მათემატიკა“. კვირეულმა ხუთი დღე მოიცვა, გაიხსნა დაწყებით კლასებში მათემატიკაში ჩატარებული სახალისო ღია გაკვეთილებით. საინტერესო და მრავალმხრივი ცოდნით გაჯერებული გაკვეთილები ჩატარდა II^{ბ} (მასწავლებელი – **ქეთევან ნადარეიშვილი**) და III^{ბ} (მასწავლებელი – **ლუდმილა კორძახია**) კლასებში.

მოსწავლეებში დიდი ინტერესი და ხალისიანი განწყობა შექმნა კვირეულის მეორე დღემ – V-XII კლასების მოსწავლეთა ასაკისათვის მისაღებ თავსატეხებსა თუ ამოცანებზე მუშაობის პროცესმა, რომელმაც მთელი დღე მოიცვა.

კვირეულის მესამე დღე კონფერენციის – „მსოფლიოს თანამედროვე მათემატიკოსების“ შესახებ ინფორმაციებით დაიტვირთა. IX-XI კლასების მოსწავლეებმა უამრავი საკვლევაძიებო სამუშაო ჩაატარეს და მოიპოვეს ინფორმაცია, როგორც მსოფლიოს თანამედროვე, ასევე ქართველ, მათ შორის ჩვენი რაიონის, მათემატიკოსებზე. როგორც ძიების პროცესში, ასევე, კონფერენციის მსვლელობისას აქტიურად გამოიყენეს საინფორმაციო ტექნოლოგიები, გამოამჟღავნეს ინტერნეტით სარგებლობის ფლობის უნარი, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა სკოლის დირექციის, სამეურვეო საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობითი ორგანოს ერთობლივი არჩევანის – საგნის „საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძვლების“ ფაკულტატური მეცადინეობის სახით სწავლების სისწორე.

კონფერენციაზე თემები წარმოადგინეს: **ნათია ცომაიამ, მარიამ ჯიბლაძემ, ნინო გუგუშვილმა, ზურაბ კუპრავამ, ნატო ქორჩილავამ, ენრიკო ჭანტურიამ, მერი გაბელაიამ** და **ქეთევან გვაზავამ**.

კვირეულის მეოთხე დღეს, კათედრის წევრების მონაწილეობით, გამოიცა კედლის გაზეთის „რადიკალის“ სპეციალური ნომერი, რომელშიც აისახა ომარ ხაიამის პოეზია და მათემატიკოსების ცხოვრებისეული კურიოზები. გაზეთი პირველ სართულზე თვალსაჩინო ადგილას განთავდსა.

ყველაზე საინტერესო მაინც ფინალური – მეხუთე დღე აღმოჩნდა. ღონისძიებას „მათემატიკა ჩვენ ირგვლივ“, ტექნიკური კათედრის წევრებთან ერთად, ესწრებოდნენ: სხვა საგნების პედაგოგები, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **მანანა კაჭარავა** და სკოლის დირექტორი **დოდო დოლიძე**. ერთმანეთს ენაცვლებოდა ე.წ. „მათემატიკური ოინები“ და „ფოკუსები“, რომლებიც წარმოადგინეს: **ცოტნე პერტენავამ, ნანული გვაზავამ, სალომე შუბლაძემ** და პედაგოგმა **ლიანა მხეიძემ**; **ანა კიზირიამ** მათემატიკის წარმოშობის ისტორიაზე ისაუბრა; **მარიამ ხარძიანმა** დამსწრე საზოგადოებას დაანახა, თუ როგორ გამოიყენებოდა მათემატიკა მხატვრობაში, დარბაზს აუხსნა, თუ რას ნიშნავს „ოქროს კვეთა“ და ამის დასტურად ლეონარდო და ვინჩის ნახატები გამოიყენა; **თათია სიგუამ** განმარტა, თუ რამდენად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული მათემატიკა და მუსიკა; **ნანული გვაზავამ** დამსწრე საზოგადოებას აჩვენა, რამდენად სჭირდება მათემატიკა ისეთ ძვირფას საგანძურს, როგორიც ქართული პოეზიაა, ამის დასტურად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“ მოიტანა მაგალითები. მანვე შეახსენა პედაგოგებსა და თანატოლებს ანდაზები, რომლებშიც რიცხვების განვითარების ისტორია დევს. საინტერესო იყო **ხათუნა დანელიას** მონათხრობი „ფრაქტალური გეომეტრიის“ შესახებ, მან წარმოადგინა ფრაქტალების სურათები, რომლებიც კომპიუტერის გამოყენებითაა შექმნილი და ახსნა, რომ კომპიუტერი, როგორც თვითმყოფადი მხატვარი, სპეციალური პროგრამის გამოყენებით ქმნის შესანიშნავ მხატვრულ ტილოებს. ღონისძიების დასასრულს, გამოვლინდა თავსატეხებსა და ამოცანების ამოხსნაში გამარჯვებული 21 მოსწავლე, რომლებსაც ტექნიკური კათედრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **ნელი კიზირიამ** სამახსოვრო სუვენირები გადასცა. სიმბოლური პრიზები გადაეცათ კვირეულში მონაწილე აქტიურ მოსწავლეებსა და პედაგოგებს: **რუსუდან გვაზავას, ლიანა მხეიძეს, ციცინო ჩხაიძეს, გოჩა ხურცილავას, ვაჟა გაბელაიას, ელიშუქ ტორონჯაძეს** და სხვებს.

მოსწავლეებში განსაკუთრებით ხალისიანი განწყობა შექმნა ტექნიკური კათედრის წევრ პედაგოგებზე შექმნილმა „მეგობრულმა შარჟებმა“. კვირეული შეაჯამა სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **დოდო დოლიძემ**. მან მადლობა გადაუხადა ტექნიკური კათედრის წევრებს და აღნიშნა, რომ კვირეული არა მარტო მათემატიკის მასწავლებლებისთვის იყო საინტერესო, არამედ ყველა მოყვარულისთვის და რომ მსგავსი ღონისძიებები ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლეთა საგნით დაინტერესების საქმეში.

დასრულდა კვირეული, მაგრამ შემდეგი კვირაც სკოლაში იმ თავსატეხებზე მსჯელობით დაიწყო, რომლის ამოხსნაც ზოგისთვის მართლაც თავსატეხად იქცა, როგორც ჩანს, შრომას უშედეგოდ არ ჩაუვლია – მიზანი მიღწეულია.

რუსუდან რუსია
აბაშის №1 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, დირექტორის მოადგილე

პროექტში მონაწილეობამ მეგობრები შეგვმატა

ბოლო ხანებში თელავის რაიონის სოფელ ყარაჯლის საჯარო სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმულნი სხვადასხვა პროექტებში. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ გასულ წელს ჩვენს სკოლაში ჩატარდა საერთაშორისო ამერიკული ორგანიზაციის – „ჯუნიორ ეჩივმენტის“ მიერ ორგანიზებული კონფერენცია თემაზე „ჯანსაღი ცხოვრება ჩვენი წესია“, რომელშიც ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ: თბილისის საერო საშუალო სკოლა „სარკმელი“, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კაზრეთის №1 და გორის №4 საჯარო სკოლები. ჩვენმა სკოლამ წარმოადგინა თემა „ნიკოტინიზმი“. საბუნებისმეტყველო კათედრის თავმჯდომარის, **ნარმინა აშიროვას** ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა: **აქსანა მუსაევამ, ელვინა სულეიმანოვამ, სევინჯ ახმედოვამ, ნაირა მუსტაფაევამ, შორენა მუსრადინ ყიზიმ, ყიზბას ისკანდაროვამ** და **თამერლან უქანოვმა** საინტერესოდ ისაუბრეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის ნიკოტინის მავნებლობაზე. გამოსვლებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით აქტიურად ჩართეს სლაიდები და თვალსაჩინო სურათები. გარდა ამისა, ჩვენს მოსწავლეებს საშუალება მიეცათ, დამეგობრებული სკოლების მოსწავლეებისაგან მოესმინათ ინფორმაცია ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, აივ/შიდსისა და სწორი კვების შესახებ.

მოსწავლეთა პრეზენტაციებმა მშობლიური მხარის შესახებ ყველას მისცა საშუალება, რომ ერთმანეთს უკეთ გასცნობოდნენ.

კონფერენცია შეაჯამა და თემაზე „ახალგაზრდობა ჯანსაღი საქართველოსათვის“ ისაუბრა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **ჯოანა ჰოლტენმა**.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მივიღეთ ორგანიზაციის კოორდინატორის, ბატონი **კობა გრძელიშვილის** ინიციატივით. მისივე თაოსნობით, მიმდინარე სასწავლო წელს, ორგანიზაცია „აირექსმა“ ჩვენს სკოლაში ჩაატარა ღონისძიება ინგლისურ ენაზე, თბილისის საერო საშუალო სკოლა „სარკმელის“ მოსწავლეების მონაწილეობით. „სარკმელის“ მოსწავლეებს მომზადებული ჰქონდათ მრავალფეროვანი პროგრამა, დილის 10:00 საათიდან საღამოს 19:00 საათამდე. პროექტის წარდგენის შემდეგ მათ დილის წარმოდგენა მოაწყვეს, ჩვენს მოსწავლეებს ჩაუტარეს ორი ინტერაქტიური გაკვეთილი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, იყო სახალისო გასართობი პროგრამები, სპორტული აქტივობები, ვიქტორინა და საღამოს წარმოდგენა.

ჩვენმა მოსწავლეებმა ამ ღონისძიებებში ჩართვით ბევრი რამ ისწავლეს და ბევრი მეგობარიც შეიძინეს. ეს დღეები მათი მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება.

ლალი ყურგანოვა
ყარაჯლის საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

„სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!“

ქალაქ დედოფლისწყაროს ანდრია ბენაშვილის სახელობის ინგლისური პროფილის საშუალო სკოლაში ჩატარდა მხატვრული კითხვის კონკურსი დევიზით: „სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!“, რომელიც სკოლის დირექტორმა **ცაცა ბენაშვილმა** გახსნა. იგი ბავშვებს უწიგნურობაზე ესაუბრა და აღნიშნა, რომ ეს არის დღევანდელი თაობის ცხოვრების მთავარი პრობლემა. ღონისძიება სწორედ ამ მტკივნეული საკითხის მეტ-ნაკლებად მოგვარებას ისახავდა მიზნად.

I-VI კლასის მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სხვადასხვა თემაზე შექმნილი ნაწარმოებების მხატვრულად წაკითხვაში. „მორბის არაგვი“, „სწავლა მოსწავლეთა“, „გაზაფხული“; „შემოდგომა“... – ეს იმ ლექსების მცირე ჩამონათვალია, რომლის ლამაზად თქმაში ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს საზეიმოდ გამოწყობილი გოგო-ბიჭები.

პედაგოგებმა: **მაია პოპიაშვილმა, ნანა ზურაშვილმა** და **თეა რუხაძემ** ძალა და ენერგია არ დაიშურეს იმისათვის, რომ მათ მიერ მომზადებული ღონისძიება საინტერესო და მრავალფეროვანი ყოფილიყო.

აქვე მოეწყო ამ მოსწავლეების მიერ შესრულებული ნახატებისა და აპლიკაციების გამოფენა, რომლის ინიციატორი პედაგოგი **ქეთევან საბიაშვილი** გახლდათ.

სანახაობას თვალყურს ადევნებდა კომპეტენტური ჟიური: თავმჯდომარე – პედაგოგი **ნინო ბოსტოღანაშვილი**, წევრები – XII კლასის მოსწავლე **მარიამ ჯანაშვილი** და XI კლასის მოსწავლე **მიხეილ ბენაშვილი**. მათ გამოავლინეს, მხატვრულ კითხვასა და ხატვაში მიღწეული წარმატებებისათვის, ღონისძიებაში გამარჯვებული მოსწავლეები: **გიორგი ბენაშვილი, ნიკა მჭედლიშვილი, ნინო კიკილაშვილი** და **გიორგი პოპიაშვილი**. ჟიურის სიმპათია III კლასის მოსწავლე **თორნიკე აფციაურმა** დაიმსახურა.

გამარჯვებულ ბავშვებს ფასიანი საჩუქრები, პრიზები და სიგელები გადასცა სკოლის დირექტორმა ცაცა ბენაშვილმა.

მარიკა პოპიაშვილი

„დილის სხივს აჰყევ, ბიჭო!“

ღირსეულად აღინიშნა გიორგი ლეონიძის დაბადებიდან 110-ე წლისთავი ქ. საგარეჯოში, შ.პ.ს. „თამარ გარეჯელის“ არასახელმწიფო საერო სკოლაში. პედაგოგიური კოლექტივი საგანგებოდ მოემზადა ამ იუბილეს აღსანიშნავად, რადგან პატარძეულელი პოეტი და მისი შემოქმედება განსაკუთრებულად ძვირფასია თითოეული გარეჯელისათვის, გოგლა ხომ მათი სისხლი და ხორცი იყო.

სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, **ელზა ზაკალაშვილმა** დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო გიორგი ლეონიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. მსმენელებს უამბო, რატომ იყო გოგლასათვის იორი ვერცხლურა, ბროლნამსხვრევი და დაიისფერებულზვირთებიანი, როგორ იწყებოდა შუქელვარა, სხივნარა, ვარდმოფენილი, ციაგიანი, გამომცინარი დილა პატარძეულში; პატარა გიორგი ლეონიძე ივრის წნორებს როგორ უკითხავდა თურმე პირველ ლექსებს და რიყიანი, ხმიანი მდინარე როგორ ასწავლიდა ქართული ლექსის მუსიკას მომავალ დიდ პოეტს.

უკვდავ ხეზე მეოცნებე მწერლის ენის შესახებ ისაუბრა სკოლის დირექტორმა, **თამარ საგინაშვილმა**. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშობლიური ენის იდუმალ სამყაროში დავანებული, ტკბილქართულის გადამალული საუნჯის გამმჟღავნებელი, სიტყვის აღმომჩენი და მისი გამცოცხლებელი ბრძანდებოდა ბუმბერაზი პოეტი. აკი თვითონ ამბობდა გოგლა: *„ო, როგორ მიყვარს მუხლადი, მაძღარი სიტყვა“.*

გიორგი ლეონიძის გარდა სხვას არავის უთქვამს:

„საზანდარმა ღამე ააცახცახა...“
„თავთუხის ყანასავით წამწამები...“
„დაქალებული ვეფხვი...“
„ალქალა, ოქროქალა.....“
„თვალყბედი ჭორელები ქაქანებდნენ...“

„ნატვრის ხის“ პროტოტიპების შესახებ ისაუბრა ამ სტრიქონების ავტორმა. გოგლას გმირები, ქართული სოფლის უბრალო ადამიანები, მთელი თავისი უკუღმართობითა და წაღმართობით, მწერლის თვალწინ ცხოვრობდნენ, მსმენელებს გავაცანი პატარძეულელ მოხუცთა მოგონებები მათ შესახებ.

ფუფალა რეალურად გიორგიწმინდელი, დიღმელაშვილების ქალი იყო. გადმოდიოდა თურმე გოგლას დედასთან, სოფიოსთან, პატარძეულში და კვირიდან კვირამდე რჩებოდა, მასპინძელი აჭმევდა, ასმევდა, ჩააცვამდა და ისე გაისტუმრებდა.

ციციკორე – პატარძეულელი სოლომონ პარუნაშვილი გახლდათ, განათლებული, სამართლიანი, კარგი მოსაუბრე კაცი. გოგლა და სოლომონი ბუხრის წინ საუბარში ათენებდნენ თურმე.

ხვედია გულიაშვილი ყოფილა ბოროტი კაცი. მისი ცოლი („ნატვრის ხეში“ – ნინორე) ძუძუს აწოვებდა თურმე გოგლას.

ღვინჯუაც რეალური პიროვნება იყო, შაქრია – ხვედიას ვაჟებიდან უფროსი. ვაჟა-ფშაველას ლექსები სცოდნია ზეპირად. თიანეთში შეხვედრია ვაჟას და დუქანშიაც უქეიფიათ.

ქორიაც გვარად შალვაშვილი გახლდათ. გოგლას დედას ეხმარებოდა თურმე ივრისპირზე, ვენახის დამუშავებაში.

რეალურად არსებობდა მარიტა – ქალი, რომელიც თითქოს მზეს ჩამოვარდნოდა და ქალი – მთვარის გამოახლება.

პატარძეულელი კატო გულიაშვილი იგონებდა: *„მე ახალი პატარძალი ვიყავი. ხალხს ვიღაც ახალგაზრდა ქალი შეესვა ვირზე და უკან მისდევდნენ, ზედ აყრიდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ – ქვას, ჯოხს, ტალახს, მან შეიყვარა ნათლია, რაც დიდი ცოდვა იყო.“*

გიორგი ლეონიძის პატრიოტული ლექსები: „პატარძეული“, „ვუმღერ სამშობლოს“, „დედუნა“, „ნინოწმინდის ღამე“, „ღამე ივერიისა“, „მეცამეტე საუკუნე“, „ყივჩაღის პაემანი“ მხატვრულად წაიკითხეს მოსწავლეებმა: **კობა ჭინჭარაულმა, გიორგი მახარაძემ, ნათია ბუზარიაშვილმა, გიორგი შათირიშვილმა** და სხვებმა.

საერო სკოლის აღსაზრდელებმა წარმოადგინეს ინსცენირებები მოთხრობებიდან: „ფუფალა“, „ნატვრის ხე“, „ჭამპურა“, „სახელის მილოცვა“, „დეიდა მაიკო“.

დამსწრე საზოგადოებას ძალიან მოეწონა საქართველოში ცნობილი სადღეგრძელოს – „გოგლაურას“ შექმნის ისტორია.

გიორგი ლეონიძის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო დაამშვენა სკოლის მოსწავლეების მიერ შესრულებულმა ხალხურმა სიმღერებმა: „ოროველა“ და „გუთნური“. სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს გოგლას ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მაღალმხატვრულად გაფორმებული, შინაარსობრივად მდიდარი სტენდები.

ძალიან სასიხარულოა, რომ საგარეჯოს შპს „თამარ გარეჯელის“ კერძო სკოლაში უდიდესი ყურადღება ექცევა მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, მათი სულიერად გამდიდრებისათვის ზრუნვას. ამის დასტურია ისიც, რომ საღამოს დასრულებისას ლამის ყველა ერთსა და იმავეს, ნიავისა და ყვავილების მეგობრის, დეიდა მაიკოს, დამოძღვრას იმეორებდა: *„დილის სხივს აჰყევ, ბიჭო! თორემ ცხოვრება გაგიძნელდება! მზის ჭიატი გწამდეს ყველაზე მეტად და ბედნიერი იქნები“.*

ლეილა არჩემაშვილი

„სათნოების კლუბის“ საქველმოქმედო აქცია

თანადგომა და სიყვარული არის ღერძი, რომლის გარშემოც სამყარო ტრიალებს. სათნოება არის ჩვენი სულების გადამრჩენი. ერთი ადამიანი ხომ მეორესთვის საყრდენი უნდა იყოს, მისი გამაძლიერებელი. ჩვენს მეფე-პოეტს უბრძანებია:

„კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა
მოივარგოს,
მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით
რამე არგოს.“

ეს შეგონება კარგად აქვთ გათავისებული ფოთის მე-2 საჯარო სკოლის თვითმმართველობასთან არსებული „სათნოების კლუბის“ წევრებს, რომლებიც ბევრს აკეთებენ იმისათვის, რომ სიტყვა საქმედ აქციონ. ამის დასტურია „სათნოებისა და ხელოვნების მოყვარულთა კლუბის“ საქველმოქმედო ღონისძიება, რომელიც 2010 წლის 5 თებერვალს ჩატარდა. ზღაპრის გმირების კოსტიუმებში გამოწყობილმა მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს სიმღერები, ხალხური ცეკვები. წამყვანი – **ხატია ცანავა** (VIII კლასის მოსწავლე) ოსტატურად ახერხებდა დარბაზის აქტიურად ჩართვას საკონცერტო პროგრამაში. ხოლო მათ, ვინც თავი გამოიჩინა, სხვადასხვა პრიზები გადაეცა.

ღონისძიებაზე შედგა ხელოვნების მოყვარულთა კლუბთან არსებული „თოჯინების თეატრის“ დებიუტი. მოსწავლეებმა წარმოადგინეს ზღაპარი „წითელქუდა“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

მართლაც, ჩინებულად იმუშავეს ღონისძიების ორგანიზატორებმა: **იზოლდა ლოლუამ** (ხელოვნების მასწავლებელი), **მაკა ვაშაკიძემ** (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი), **მადონა თოფურიამ** (მუსიკის მასწავლებელი) და „სათნოებისა და ხელოვნების მოყვარულთა კლუბის“ წევრებმა.

შემოწირულობის სახით შემოსული თანხა საქველმოქმედო საქმიანობას მოხმარდება. „სათნოების კლუბის“ წევრები 15 თებერვალს ქალაქში არსებულ სათნოების სახლს ესტუმრნენ და ხანდაზმულებს ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ. 28 თებერვალს დაბადების დღეს მიულოცავენ პენსიაზე მყოფ ამაგდარ პედაგოგს, **ნელი სიხარულიძეს**; 3 მარტს კლუბის წევრებმა დედის დღე მიულოცეს მათივე სკოლის მოსწავლეების 2 მრავალშვილიან დედას.

სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა მრავალ სხვა საინტერესო ღონისძიებას გვპირდება. თოჯინების თეატრის ნორჩი მსახიობები კი დედის დღისთვის ახალ სპექტაკლს „ციცქნა იას დღეობაზე“ ამზადებენ.

ლიკა ცაგურია
ფოთის №2 საჯარო სკოლის ორგანიზატორი

სისხლით შეღებილი ოლიმპიადა

ვანკუვერის ოლიმპიადა ზუსტად სამი დღის წინ დამთავრდა, თუმცა მასზე ლაპარაკი კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. ამჯერად – ცოტა არასპორტულ ასპექტში, ვინაიდან 21 წლის **ნოდარ ქუმარიტაშვილის** დაღუპვის გამო მსოფლიო ჯერაც შოკშია. თამაშების გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე მომხდარი ტრაგედიის მიზეზებზე, რამაც ბაკურიანელი მოციგავის სიცოცხლე შეიწირა, აზრი ორად გაიყო – ოფიციოზი ყველაფერს სპორტსმენის გამოუცდელობით ხსნის, რასაც საზოგადოებრივი აზრი, სპორტული სამყარო და მსოფლიო მედია კატეგორიულად არ ეთანხმება. ისინი მომხდარში პირდაპირ ადანაშაულებენ ორგანიზატორებს უსაფრთხოების ნორმების დაუცველობაში და გულგრილობაში, რამაც საბოლოოდ ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. უინსტლერის ტრასამ „თეთრი ოლიმპიადა“ ჯერ სისხლისფრად შეღება, მერე კი ოლიმპიადების ჰუმანურ იდეალებს შავი სუდარაც წააფარა. აქამდეც უსწრაფესად და ერთ-ერთ ყველაზე სახიფათოდ მიჩნეულ ამ ტრასაზე კიდევ არაერთი ავარია ვიხილეთ. რამდენიმე სპორტსმენი მძიმედაც დაშავდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მათ შედარებით გაუმართლათ და ცოცხლები გადარჩნენ. ერთ-ერთმა ლატვიელმა სპორტსმენმა პირდაპირ განაცხადა, ახლა ჩემი მთავარი მიზანია, ცოცხალი დავრჩე და ვეცადო, ვანკუვერიდან რაც შეიძლება დადებითი ემოციები გავიყოლოო.

ქუმარიტაშვილის დაღუპვამ გამოააშკარავა, რომ თურმე ჰუმანური მიზნების მსახურ ოლიმპიადებზე ადამიანებს არც ისე უფრთხილდებიან და მათ სიცოცხლეზე მეტად რეკორდებს აფასებენ. სწორედ ამიტომ გამოიწვია ტრაგედიამ განსაკუთრებული აღშფოთება მთელ მსოფლიოში და მომხდარი დღემდე განსჯის საგანია – ტრასის სახიფათო სისწრაფეზე და რთულ მოსახვევებზე სპორტსმენები თუ მწვრთნელები ყოველთვის უკიჟინებდნენ ორგანიზატორებს, მაგრამ მათი ხმა ტრაგედიამდე არავინ შეისმინა. მომხდარმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიც სერიოზულად დააფიქრა, რომელიც აქტიურად ალაპარაკდა უსაფრთხოების ნორმების გამკაცრებაზე...

ტრაგედიის მიზეზებს ორი დამოკიდებელი უწყება იკვლევს – კანადის პოლიცია და ციგაობის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკური კომიტეტი, თუმცა საზოგადოებრივმა აზრმა განაჩენი უკვე გამოიტანა. ნოდარ ქუმარიტაშვილს მთელი მსოფლიო დაუდგა ჭირისუფლად. გერმანულმა „ბილდმა“ ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე მიმართა მოციგავეებს, მოპოვებული ოქროს მედალი ნოდარის მშობლებისთვის გადაეცათ. *„მათი შვილი ამ ჯილდოზე ოცნებობდა და ამას შეეწირა. იქნებ მშობლებმა არც ისურვონ ასეთი მედლის მიღება, მაგრამ არც თქვენ გაქვთ მისი მოპოვებით გამოწვეული სიხარულის უფლება, რადგან ის წითლად და შავადაა შეღებილი“* - მიმართა ავტორიტეტულმა გაზეთმა სპორტსმენებს. კანადელმა მომღერალმა **მელისა მულდერ-ალბერტსონმა** ქუმარიტაშვილის ხსოვნას სიმღერაც მიუძღვნა - „უშიშარი გმირი“ და კლიპიც გადაიღო. დიდი დრო არაა, რაც ეს კლიპი ინტერნეტში გამოჩნდა და სწრაფად მოიპოვა პოპულარობა. მელისა ოლიმპიადის მოხალისედ ჩაეწერა და ბედმა საქართველოს ნაკრებს მიამაგრა. *„ძალიან მძიმე იყო განადგურებულ ქართულ დელეგაციასთან შეხვედრა, რადგან ისინი ერთმანეთის მეგობრები არიან და არა ჩვეულებრივი გუნდი. ერთ-ერთი სულაც ქუმარიტაშვილის ბიძა იყო. თავი ვერ შევიკავე და მათთან ერთად მეც ვტიროდი“* - იხსენებს ქართულ დელეგაციასთან თავის პირველ შეხვედრას მელისა. იგი იმაშიც გამოტყდა, რომ მისი ცხოვრების ყველაზე მძიმე წუთები მაშინ გაიარა, როცა გახსნის ცერემონიალზე ოლიმპიური სტადიონის კარი შეაღო და შავი ლენტებით გამოსულ მგლოვიარე ქართულ დელეგაციას 60 ათასი კაცი თანაგრძნობის ნიშნად ფეხზე წამოუდგა. „ამ მანძილის გავლას სულ 8 წუთი დასჭირდა, მაგრამ ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე გრძელი და ყველაზე ძნელი დისტანცია იყო“ – განაცხადა მომღერალმა. ის მხოლოდ ემოციებით არ შემოიფარგლა და ტრაგედიიდან რამდენიმე დღეში, ჯერ კიდევ შუა ოლიმპიადაზე დაღუპულს სიმღერაც მიუძღვნა. მელისა რიტმენბლუზის ჯგუფ „ივენ კილის“ ვოკალისტია, სადაც მისი მეუღლე **დეილი ალბერტსონი** გიტარაზე უკრავს. კლიპი „უშიშარი გმირიც“ ამ ჯგუფმა ჩაწერა. ეს შედარებით ახალი ჯგუფია, რომელიც თავისი პირველი ალბომის გამოსაცემად ამ გაზაფხულზე ემზადება, თუმცა გადაწყდა, რომ მანამ ამ კლიპს ცალკე სინგლად გამოუშვებენ, მიღებულ შემოსავალს კი ნოდარ ქუმარიტაშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდს გადასცემენ, რომელიც საქართველოში საციგაო სპორტის განვითარებას მოემსახურება. მელისამ სიმღერის პრეზენტაცია ოლიმპიადის დღეებშივე მოაწყო და ემოციურადაც: *„ხალხმა გულთან ახლოს მიიტანა სიმღერა, ბევრი ატირდა და ვგრძნობდი, მალე მეც ვიტირებდი, თუმცა შევძელი ემოციების მოთოკვა და ბოლომდე ვიმღერე“.*

მომხდარი ტრაგედიით ჩვენი დელეგაციისთვის ოლიმპიადა დაწყებამდე დამთავრდა. მომხდარით დათრგუნულები თამაშების დატოვებასაც აპირებდნენ, მაგრამ საბოლოოდ თავს სძლიეს და დარჩნენ. ალბათ, ჩვენი დელეგაცია ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული იყო მთელს თამაშებში – ყველაზე უმცროსი მონაწილე 15 წლის იყო, უფროსი – 24-ის. ცხადია, ჩვენი იმედი ფიგურულ ციგურაობაში ევროპის წლევანდელი ბრინჯაოს პრიზიორი **ელენე გედევანიშვილი** იყო, რომელიც საბოლოოდ მე-14-ზე გავიდა, წინა ოლიმპიადის მაჩვენებელსაც ჩამორჩა, თუმცა რიგ კომპონენტებში საგრძნობი პროგრესიც განიცადა. მან ოლიმპიადა ძალიან კარგად დაიწყო – მოკლე პროგრამა მეცხრე ადგილზე დაასრულა, თუმცა საკუთარი შედეგი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. თავისუფალი პროგრამა მისთვის მუდამ აქილევსის ქუსლი იყო. გამონაკლისი ევროპის პირველობაზე კი მოხდა, მაგრამ ამჯერად – არა და ელენე ათეულში ვერ მოხვდა, თუმცა ის ტექნიკაში ევროპაში საუკეთესოა, რაც აქამდეც რამდენჯერმე დაადასტურა.

საკმაოდ დამაიმედებლად იცეკვა სპორტულმა წყვილმა იმის მიუხედავად, რომ ბოლოსწინა ადგილზე გავიდნენ – **ოთარ ჯაფარიძემ** და მისმა ამერიკელმა მეწყვილე **ალისონ რიდიმ** (სწორედ ისაა 15 წლის). მათ სპეციალისტთაგან ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული წყვილის შეფასება დაიმსახურეს და ეს მაშინ, როცა ერთად სულ რაღაც შვიდი თვე ვარჯიშობენ და მეოთხედ გამოვიდნენ პირველხარისხოვან ტურნირზე. მათი ცეკვა სირთულით არა, მაგრამ სილამაზით კი გამოირჩევა. ისინი რასაც აკეთებენ, იქნებ არა დიდი სირთულით, მაგრამ დახვეწილად, ხოლო პროგრამა უხვად გააჯერეს ქართული ცეკვის ელემენტებით, რითაც ბევრად გაალამაზეს.

ირაკლი თავაძე

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.